პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი პირველი

კომუნისტი

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 115 სამშაბათი, 23 მაისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 23 მაისი 1922 წ. № 115

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენუის კონფერენციის საკითხის გარშემო პროვინციებში

პოლიტიკური კამპანიის გასატარებლად ცხადდება შემდეგი ამხანაგების მობილიზაცია: 1) ეშბა, 2) ლამბაროვი, 3) მჟავანაძე, 4) კვირკველია, 5) ტრაპაიძე, 6) თოდრია ს., 7) ტოროშელიძე მ., 8) გ. ნუცუბიძე, 9) გ. ვაშაძე, 10) ტაკოევი ს., 11) პ. საყვარელიძე, 12) ფ. მახარაძე, 13) შ. მატიკაშვილი, 14) კ. კაკაბაძე; 15) ნ. სოკოლოვსკი, 16) გ. გოგოტიშვილი, 17) თ. ჟღენტი.

საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგებს შეიკრიბონ წინასწარ თათბირზე სამშაბათს, 23 მაისს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 22).

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დრ. გამგე: ა. კვირიკაძე.

სამშაბათს, 23 მაისს საღამოს 5 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

თბილისის კომიტეტის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

თბ. ლ. კომ. მდივანი **კახიანი.**
(2—1)

სამშაბათს, მაისის 23-ს საღამოს 6 საათზე შესდგება

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი

თ. კალანდაძე
(2—1)

ხელშეკრულება „გარანტიების“ შესახებ

გენუის კონფერენციის დაშლამდი იქ წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს (რამდენათ გულწრფელათ ეს სხვა კითხვაა) მიიღონ თავის თავზე რამოდენიმე დავალება, რომლებიც მათ უნდა შეასრულონ იმ დროის განმავლობაში, სანამ შეიკრიბებოდეს მომავალი კონფერენცია, განძრახული სექტემბრისთვის. მათის აზრით საჭიროა—და ეს, რასაკვირველია, მართლაც საჭიროა—რომ ჰააგის კომისიების მუშაობა ტარდებოდეს მშვიდობიან ატმოსფერაში და მოკლებული ნერვიულობას, რომელსაც ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაგრძელდებოდა საომარი მზადება, რომელსაც ადგილი აქვს დღეს აშკარათ თუ მალულათ ყველგან. ცხადია, რომ პირველ ყოვლისა ეს შეეხება რუსეთის მოწინააღმდეგე კოალიციას, რადგან საბჭოთა რესპუბლიკები არავითარ ინიციატივას არ იღებენ აგრესივობისას. მეორე მხრივ, „გარანტიების ხელშეკრულება“ შეიცავს ვალდებულებას, რომ არც ერთი სახელმწიფო, მონაწილე გენუის კონფერენციის, არ უნდა შეეკრას საბჭოთა რუსეთს სეპარატიული ხელშეკრულებით ხსენებულ დროის განმავლობაში.

ორივე უმთავრესი მუხლი ეგრედწოდებული „გარანტიების ხელშეკრულების“ ნათლათ მოწმობენ იმაზე, რომ თვით მისი ინიციატორები დარწმუნებული არიან, რომ მათმა „სამშვიდობო“ პოლიტიკამ ფაქტიურათ შექმნა საომარი მდგომარეობა მთელ კონტინენტზე, რომლის ეკონომიურათ „აღდგენისა“ და „დაშოშმინების“ ქანწყვეტაში არიან ჩაბმულნი და გარდა ამისა, ინტერესთა სხვადასხვაობა იმპერიალისტური კოალიციის და მისი ვასსალების ისე შორს არის წასული, რომ საჭირო ხდება საგანგებო ურთიერთ ვალდებულებით შეეკრან ისინი ერთმანეთს და ამით რამოდენიმეთ მაინც გააძლიერონ დროთა და არეულობათა გამო საკმაოთ შერყეული პოზიცია საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

როდესაც, წინააღმდეგ „უკანასკნელი ომის“ იდეოლოგებისა, რევოლიუციონური პრესა და პარტიები დაჟინებით ავრცელებდენ აზრს, რომ „უკანასკნელი ომის“ იდეოლოგია ეს ერთი უუდიდესი თვალთმაქცობაა და შარლატნობა, გულუბრყვილოთა და შოვინიზმით მოწამლული მასების კიდევ უფრო გამოსაყენებლათ და მათ გადასაქცევათ მორჩილ იარაღათ იმპერიალისტური ავაზაკებისა და ცეცხლის წამკიდებლების ხელში, ჩვენი მოწინააღმდეგენი ბურჟუაზიული ბანაკიდან ჩვენი დემაგოგობით ხსნიდნენ ასეთ აზრს. იმპერიალისტურ ომს, ბუნებრივია, უნდა შეექმნა ავიც იმპერიალისტური. ცხადია ამიტომ ეს უკანასკნელიც კვლავ უნდა ყოფილიყო მატარებელი ახალი ომების მიზეზების. და მართლაც თუ როდესმე ყოფილა ჰაერი გაჟღენთილი წამლის სუნით და ომის ჯოჯოხეთური ძალები ახალი ხოცვა ჟლეტის მზადებაში ჩაბმული—ეს უეჭველათ ითქმის დღევანდელ ხანაზე. ამ მდგომარეობას დღეს ვეღარ მალავენ ისინიც კი, რომლებიც მოწოდებული არიან მთელი თავისი ინტერესებით მის მისაფუჩეჩებლათ. დღეს ეს აზრი დაეპატრონა უღლრესათ ოფიციალურ და ოფიციოზურ წრეებს ევროპისას, რომლებიც აშკარათ მასზე ლაპარაკობენ და „გარანტიებსაც“ ადგენენ.

ბურჟუაზიული კერძო საკუთრება და მის მიერ შექმნილი რეჟიმი არასოდეს არ ყოფილა მატარებელი მშვიდობიანობის და „ხალხთა შორის სათნოების“. ის არ არის ასეთი არც დღეს, არ იქნება მომავალშიც, სანამ ჯალათი სული უდგია თავის ფეხებიდან კბილებამდე შეიარაღებულ სხეულში. და როდესაც დღეს ამაში გამოტყდნენ თვით ქურუმები ამ რეჟიმის—ეს არის მომასწავებელი სრული მათი პოლიტიკური და მორალური სიკოტრის სააშკარაოზე გამოტანის და მათი გაბახების. ეს უნდა შეითვისოს ყველამ და მანვე ცხვირპირში უნდა სცემოს ყველა ჯურის პაციფისტებს, რომლებსაც ცოტა სამსახური არ მიუძღვის არსებული კაპიტალისტური „ცივილიზაციის“ მიმართ.

არა ნაკლებ საგულისხმიეროა ურთიერთი „დაზღვევა“ საბჭოთა რესპუბლიკებთან სეპარატიული ხელშეკრულებისაგან. ოფიციალური წრეები ანტანტის არა ერთხელ გამოსულან განცხადებებით—შეიძლება ითქვას ერთი შემთხვევაც კი არ გაუშვიათ ამ მხრივ—რათა საჯაროთ აღეარებიათ თავისი სრული სოლიდარობა, როგორც „ერთიანი მასის“, რუსეთის წინააღმდეგ. ისინი ჯამბაზურათ გადააფარეშდენ ხოლმე ყოველთვის ხელს, როდესაც ინტერესთა წინააღმდეგობა ამა თუ იმ ალაგას, ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ საკითხში პირს იჩენდა, აალაპარაკებდა მათი პრესის ქირვეულ ორგანოებს ან დაინტერესებულ მოღვაწეებს მათივე ბანაკიდან, რომლებსაც რაიმე პირადი თუ ჯგუფური ინტერესი გამოიყვანდა ამ წინააღმდეგობათა აღსანიშნავათ. დღეს ოფიციალურათ დადასტურებულია ამ ანტაგონიზმის არსებობაც, რომლის დამღუპველი გავლენა მათ „საერთო საქმეზე“ უნდა შეასუსტოს „გარანტიების ხელშეკრულებამ“.

ორივე შემთხვევაში ჩვენი გზა აშკარაა. ნაკლები ყურადღება ლათაიებს ამ „გარანტიების“ შესახებ, რამდენადაც ისინი თითქოს მოწოდებული არიან შეაჩერონ ომის სამზადისი. უკვე თვით ერთი ფაქტიც ბურჟუაზიული სახელმწიფოების არსებობის, პარალელურათ სოციალისტურ რესპუბლიკებთან, არის საფრთხე და სამზადისი. აქედან—ყოველ წამს მზად ყოფნა საკადრისათ შესახვედრათ ვის მიმართაც ჯერ არს—ეს არის ჩვენი მუდმივი მოვალეობა.

ამასთან ერთად ცდა უკვე საკმაოთ გარღვეული, პირდაღებული ფრონტის კვლავ გასაღრმავებლათ არ ამოიშლება ჩვენი მოქმედების დღის წესრიგიდან, რადგან მიღებული გარანტიებით,—რაც შეეხება მაგ. ინტერვენციას—სრულიათ არ სურთ შეზღუდონ თავისი მოქმედება მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებმა, როგორც ამის შესახებ მიკიბულ-მოკიბულად განაცხადა სხვათა შორის იაპონიამ.

საღარაჯოზე! ძველი გზით. უკეთესის მოლოდინში! აქეთი პასუხი უნდა გავსცეთ „გარანტიების ხელშეკრულებას“.

გენუა და ჩვენი მოწინააღმდეგე ჯგუფები

გენუას კონფერენცია დამარცხებით დამთავრდა. მან ვერ შესძლო ორი მოწინააღმდეგე ბანაკის-ბურჟუაზიულ მსოფლიოს და საბჭოთა ფედერაციის დროებითი შეთანხმება და კონკრეტულ პირობების და საშუალებათა გამომუშავება დანგრეულ მეურნეობის აღსადგენად.

მაგრამ გენუას კონფერენციის მნიშვნელობა ფრიად დიდია სხვა მხრივ.

მან სავსებით გააშიშვლა მშრომელი მასსების წინაშე ორივე მხარის როგორც ნამდვილი სახე, ისე ძალთა განწყობილება.

კაპიტალისტურმა მთავრობებმა ისევ გამოიჩინეს უკიდურესი კლასობრივი ეგოიზმი, არ მოისურვეს მქონებელი ჯგუფების ვიწრო მესაკუთრეობრივი ინტერესების დათმობა და მოიწადინეს „მეურნეობის აღორძინება“ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ხარჯზე და მათი სრული დამონების გზით. ამით ნიღაბი აეხადა მათ თვალთმაქცურ ლაპარაკს მშვიდობიანობის და „ნორმალურ“ ცხოვრების აღდგენის შესახებ. არა მშვიდობიანობა, არამედ ომი, იარაღით დამორჩილება მშრომელი მასსების და მათი ექსპლოატაციის აშკარად გაგრძელება ისევ შეადგენს მათ ზრახვას. და განა ამას არ მოწმობს, სხვათა შორის, საბჭოთა დელეგაციის წინადადების გადაჭრილი უარყოფა საერთაშორისო განიარაღების შესახებ! ისინი არამც თუ განიარაღებასა და მშვიდობიანობაზე ფიქრობენ, არამედ გამალებულ სამხედრო სამზადისს აწარმოებენ, რათა ახალი, უფრო საშინელი ომი და უბედურება დაატეხონ კაცობრიობას. ამის თვალსაჩინო საბუთები ჩვენ გვქონდა მოყვანილი გუშინდელ გაზეთში.

მაგრამ საკითხავია, შესწევთ კი მათ ძალა ამ დანაშაულებრივი მოქმედებისათვის?

და აი გენუას კონფერენციაზე სავსებით გამოირკვა, რომ მათ საამისო ძალა არ შესწევთ. ღრმა წინააღმდეგობა და განხეთქილება თვით ანტანტის რიგებში, ბურჟუაზიული მთავრობების სისუსტე, რაც გამოწვეულია მათი ქვეყნების აწეწილი მდგომარეობით, ეკონომიური კრიზისით და მუშათა კლასის სიმძლავრით, რომელიც სულ უფრო გადაჭრილ მოქმედების გზას ადგება ბურჟუაზიის წინააღმდეგ—საშუალებას არ აძლევს ევროპაში დღეს გაბატონებულ მკარცველებს თავის შავი წადილი სისრულეში მოიყვანონ.

მეორე მხრივ, საბჭოთა ფედერაცია გულწრფელად მოწადინებულია მშვიდობიანობას და ეკონომიურ ცხოვრების აღდგენას. იგი მედგრად იცავს მშრომელთა და დაჩაგრულ ერების ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა დელეგაციამ პირველმა და ერთად ერთმა წამოაყენა განიარაღების მოთხოვნა და მუშათა სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტის ფარგლებში შესაძლებელ დათმობაზე წავიდა კაპიტალისტების მიმართ, რომელნიც მოისურვებენ ჩვენში საქმიანი მუშაობის გაჩაღებას. ამასთან ერთად გენუას კონფერენციაზე ყველასათვის თვალსაჩინო გახდა საბჭოთა ფედერაციის სიმტკიცე და საერთაშორისო ღირებულება.

მას ზურგს უმაგრებს არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ხალხი, არამედ მთელი მსოფლიოს შეგნებული რევოლიუციონური პროლეტარიატიც.

მრავალი ცალკე სახელმწიფო ცდილობს მის გულის მოგებას, ბევრ ქვეყანას სურს მასთან დაახლოვება და შეთანხმება.

საბჭოთა რუსეთის ასეთი სიძლიერემ აიძულა გერმანია მასთან რაპალოს ცნობილი ხელშეკრულება დაედო.

ასეთია ორივე მოპირდაპირე მხარის ბუნება და ძალა.

ვისთან უნდა იყვეს საქართველოს მშრომელი ხალხი, ვისთან უნდა ვიდოდეს ის ხელიხელ ჩაკიდებულად თავის სოციალურ და ეროვნულ ინტერესების უზრუნველ საყოფად? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: რევოლიუციასთან და საბჭოთა რუსეთთან, რომელიც ამ რევოლიუციას მეთაურობს. და ასეც გადასწყვიტა თავის ბედ-იღბალი საქართველოს მშრომელ მასსამ, როცა ის დაუკავშირდა საბჭოთა რუსეთს და მისი რევოლიუციონური ორიენტაცია მიიღო.

და თუ ჩვენ ხელმეორედ ვაყენებთ ამ საკითხს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ მოვაგონოთ იმ მცირე ჯგუფებს, მშრომელ მასსის და ინტელიგენციისას, რომელნიც სისწორით ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან მოვლენებში და ვერ შეთვისებიან ახალ მდგომარეობას,—რომ მათი ორიენტაცია რეაქციონურ და მომავლის არ მქონე, დღეს ევროპაში გაბატონებულ წრეებზე საზიანოა ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის. ამ წრეებს თავის მტაცებლური ბუნების წყალობით შეუძლიათ მხოლოდ ვნების და არა სიკეთის მოტანა საქართველოსათვის. და ვინმეს კიდეც რო სურდეს ჩვენი ქვეყნის დამონება, ე. ი. მენშევიკურ საქართველოს აღდგენა, ეს შეუძლებელია იმ ძალების დახმარებით, რომლების იმედი დღევანდლამდე ჰქონდათ ზოგიერთებს. და განა ამას არ მოწმობს მენშევიკურ საქართველოს საკითხის ისტორია გენუას კონფერენციაზე! მენშევიკები შეეცადნენ ამ საკითხის დასმას იქ, მაგრამ საბჭოთა დელეგაციის ერთი შეტევა საკმარისი შეიქნა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სამარცხვინოდ უკან დაეხია და გაჩუმებულიყო.

ამ გვარად ამ მხრივ ზოგიერთების იმედს გენუას კონფერენციაზე ყოველ გვარი ნიადაგი გამოეცალა.

და ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა წამოვაყენოთ საკითხი შეხედულებათა გადაფასებისა და ორიენტაციის შეცვლისა იმ ჯგუფების მიერ, რომელნიც შეიძლება კიდევ მისდევენ მენშევიკებს. თვით დამჟავებულ მენშევიკებს და მათ მზგავსებს, როგორც კუზიან ხალხს, სამარე თუ გაასწორებს. ჩვენ მათ შესახებ არ ვლაპარაკობთ. ჩვენ მხედველობაში გვყავს ისეთი ჯგუფები, თუ ასეთები არიან, რომელნიც დღემდე ვერ გამორკვეულან ჩვენში მომხდარ ამბებში და სათანადოდ ვერ შეუფასებიათ მსოფლიოში არსებულ ორი მოწინააღმდეგე ბანაკის ნამდვილი ზრახვები და ძალები.

ამ ორ ბანაკში საბჭოთა ფედერაცია რუსეთის მეთაურობით ჭეშმარიტი მედგარი დამცველია მშრომელ მასსების და ხალხთა უფლებების, ის თანდათან ძლიერდება, მისი მომავალი უზრუნველყოფილია; მეორე ბანაკი—ბურჟუაზიული სახელმწიფოები—მყვლეფელია მშრომელ მასების და მესაფლავე ჩაგრულ ერების, ამასთან ის თანდათან უძლურდება და უფსკრულისაკენ მიექანება.

ეს გარემოება ნათლად გამოაშკარავდა გენუას კონფერენციაზედაც.

ამ ფაქტს უნდა გაუწიონ ანგარიში ზემოდ აღნიშნულმა ჯგუფებმა და სერიოზულად დასვან საკითხი თავის შეხედულების და ტაქტიკის რევიზიის შესახებ.

და ამ რევიზიის შედეგი უნდა იყოს მხოლოდ ერთი: ყოველი მშრომელი, ყოველი მუშა, ვინც გაუგებრობის, პროვოკაციის და სხვა მიზეზების წყალობით, დღევანდლამდე პროლეტარიატის მოწინააღმდეგე ბანაკში იყო, უნდა დადგეს საბჭოთა ხელისუფლებასთან, რევოლიუციასთან, ჩვენი ცხოვრების ასაღორძინებლად და კაპიტალისტების ბატონობის დასამხობად.

გ. ქ.

რადიო-დეპეშები

გენუის კონფერენცია

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა

ბერლინი. 20 მაისი. (გერმანული რადიო). კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე, საფრანგეთის დელეგატმა კოლრატმა წარადგინა მოხსენება ეკონომიურ კომისიის მუშაობის შესახებ. მან კომისიის სახელით განაცხადა, რომ აუცილებლად საჭიროა მსოფლიო წარმოების წონასწორობის აღდგენა, რომელიც დარღვეულ იქნა ომის დროს ეროვნულ ეკონომიური ძალების ზომაზე მეტი დაჭიმვით. ომის გავლენის მეოხებით შექმნილ იქნა ისეთი წარმოებები, რომელთაც ომის დამთავრების შემდეგ დაკარგეს არსებობის აზრი. კოლრატმა განაცხადა, რომ ევროპის აღდგენა შესაძლებელია სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებათა დადებით, რომელიც შეიძლება ხანდახან კიდევაც ეწინააღმდეგებოდეს კონფერენციის საერთო სულს.

კოლრატის შემდეგ ილაპარაკა ჩიჩერინმა, რომელმაც პროტესტი განაცხადა რუსეთის დელეგატების ეკონომიურ კომისიიდან გამორიცხვის შესახებ. მოხსენების გამო ჩიჩერინმა სწუხარება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ხსენებულ მოხსენებაში არ არის სათანადოთ აღნიშნული ის ზომები, რომელიც სურთ მიიღონ ევროპის აღსადგენათ. პატარა სიტყვა წარმოსთქვა ეკონომიური კომისიის მოხსენების შესახებ რატენაუმ, რომელმაც განაცხადა, რომ ვერც გერმანია და საერთოთ ვერც მთელი მსოფლიო ვერ მიაღწევს ეკონომიურ წონასწორობას და გადახურდავების წესის განსაზღვრას მანამდის, სანამ კრედიტორებსა და დებიტორებს დანამდვილებით არ გამოურკვევიათ თავისი ანგარიშები. როდესაც რატენაუ შეეხო საკითხის პოლიტიკურ მხარეს მან განაცხადა, რომ იგი სიამოვნებით აღნიშნავს იმ ნაყოფიერ შედეგს, რომელსაც მიაღწია გერმანიის შუამავლობამ რუსეთსა და მის განაწამებ ხალხსა და სხვა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების მსვლელობაში. შემდეგ რატენაუმ განაცხადა, რომ მას თავის მოვალეობად მიაჩნია მადლობა გადაუხადოს იტალიას, რომელმაც ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ დაერწმუნებინა, მტრულად ერთმანეთ შორის განწყობილი სახელმწიფონი, ახალი ერას დაწყების აუცილებლობაში. როგორც წინათ, ისე ეხლაც იტალიას ეკუთვნის ინიციატივა მრავალ დიდ საქმეთა დაწყებაში. რატენაუს სიტყვას კონფერენცია შეხვდა ცხარე ტაშით ცემით. დასასრულ ლლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ გენუის კონფერენცია მას მიაჩნია იმ საფეხურად, რომელიც აახლოვებს კაცობრიობას მშვიდობიანობასთან. კონფერენციის ნაყოფიერების ყველაზე უფრო ნათელი

წითელი პრესა

„სოციალისტ-რევოლიუციონერების“ პროცესი.

ევროპისა და რუსეთის შავრაზმელები ებრძოდნენ რევოლიუციას და საბჭოთა ხელისუფლებას გაშლილ ფრონტებზე ათი და ასი ათასიანი ჯარებით;

მაგრამ ისინი მიმართავდენ რუსეთის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ არა მარტო მასიურ ტერორს, არამედ აწარმოებდნენ ინდივიდუალურსაც მათ ამოიღეს ნიშანში ბელადები რევოლიუციის და სურდათ ამ გზით თავი მოეკლიჯათ დიდი მოძრაობისთვის. ამ მიზნის განხორციელება მათ მიანდვეს პროფესიონალურ ტერორისტებს ესერების პარტიიდან, რომელიც ხმარობდა ამ საშუალებას თვითმპყრობელობის „მოღვაწეთა“ წინააღმდეგ.

ესერების პარტიამ მოკლა ურიცკი და ვოლოდარსკი, სასიკვდილოდ დასჭრა ბელადი კომუნისტური რევოლიუციის ამხ. ლენინი, რომელიც სრულიად შემთხვევით გადაურჩა მათ მოწამლულ ტყვიას; სცადეს რამოდენიმეჯერ მოეკლათ მეორე დიდი ბელადი პროლეტარიატის, ამხ. ტროცკი, რომელიც სრულიად შემთხვევით გაუსხლტა მათ მახეს. კონტრ-რევოლიუციის ეს ნაძირალები ციხეებში არიან დღეს ჩაკეტილი და უცდიან კანონიერ მსჯავრს რევოლიუციისა და აღშფოთებული მშრომელებისას. რამოდენიმე დღეში დაიწყება მათი პროცესი მოსკოვში. ბუნებრივია ამ გარემოებას უყურადღებოთ ვერ გაუშვებდა ევროპის იმპერიალისტური რეაქცია, რომლის დავალებითა და მატერიალური დახმარებით სჩადიოდნენ ეს ავაზაკები მშრომელთა ბელადების მკვლელობას. „ძმა ძმისთვისაო—შავი დღისთვისაო“ და აი რეაქციაც ამოძრავდა და მისი აგენტების, ყვითელი ინტერნაციონალის ბელადების სახით მათ გამოითხოვეს და მიიღეს ინტერნაციონალების თათბირზე ბერლინში თანხმობა მონაწილეობის ამ მკვლელების დაცვაში. ამ მიზნით მოდიან რუსეთში ვანდერველდე და მისი ამხანაგები, ყველა—ჯაშუშები ანტანტის, რომელთაც სურთ რუსეთში ყოფნის დროს საჭირო მასალა შეკრიბონ სულ სხვა დარგიდან, ვინემ არის პროცესი და აგენტურული ცნობები მიაწოდონ თავის „მომვლინებელთ“. ჩვენი მტრებისთვის საჭიროა ცოდნა იმისი, თუ როგორია მდგომარეობა და ძალთა გამძლეობა, ამ ძალთა განაწილება მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მომართული მექანიზმში, რომელსაც ეწოდება საბჭოთა რეჟიმი. ასეთივე აგენტურული მიზანი ამოძრავებდა მათ, როდესაც, შარშან, დამშეულთა მდგომარეობის გამოძიების სახით ისინი აგზავნიდნენ რუსეთში ცნობილ არამზადას და გაიძვერას ნიულანსს, კომისიით. საყოველთაო აღშფოთება იყო რუსეთიდან პასუხი ამ ცდის და ისიც დამარცხდა.

სხვა გარემოებაში და სხვა საქმისთვის ამასვე სცდილობდენ საბჭოთა რესპუბლიკების მტრები დღეს, ესერების პროცესის გამო. იმპერიალისტურმა კონტრ-რევოლიუციამ მოახერხა თავის აგენტების საშუალებით თანხმობა მიეღო ბერლინში ზემოხსენებულ თათბირზე, დაშვებული ყოფილიყვნენ პროცესზე ეს აგენტები.

ამის შესახებ მოსკოვის „პრავდა“ სწერს შემდეგს:

> „მეორე ინტერნაციონალმა გამოგზავნა „ცნობა“, რომლის თანახმად ის მოითხოვს, დაშვებულ იქნან სოციალისტ-რევოლიუციონერების ცეცხლის წამკიდებლებისა და მკვლელების პროცესზე მათ დამცველებათ ათი სოციალ-გამყიდველი და ბურჟუაზიის ლაქია...
>
> თანახმათ სამი ინტერნაციონალის შეთანხმებისა ბერლინში, ჩვენ ვალდებულება ავიღეთ, შემოგვეშვა თავისუფლათ არჩეული სამეულები, პროცესში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ იოტის ოდენადაც არ გადაუხვევთ ამ ვალდებულებას და შევასრულებთ მას. მაგრამ ამ პროცესის გარეშე ეს ვაჟბატონები ჩაყენებული უნდა იყვნენ ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ჩვენს ქვეყანას მათი სამხედრო ჯაშუშობისაგან, ამ არამზადების ცეცხლის წამკიდებელი ტაქტიკისაგან, რომლებიც ერთი მხრით კლავენ მუშათა ბელადებს, მეორე მხრით კი ეშინიათ გამოტყდნენ ამაში, მლიქვნელობენ, ცეცხლს უკიდებენ, სტყუიან, თავის თავს ატყუებენ და გამცემლობას იჩენენ იმ თავის პოლიტიკურათ გამოუცდელ და მოჩერჩეტო ამხანაგების მიმართ რომლებსაც ისინი აგზავნიან ყველაზე უფრო სახიფათო საქმეების შესასრულებლათ.
>
> საბჭოთა მთავრობის პასუხიც ამ აზრით იყო შედგენილი: ჩვენ შემოგიშვებთ. ჩვენ შემოვუშვებთ **ყველას** თვით ესერებსაც კი, ესე იგი ანტანტის აშკარა ჯაშუშებს და შეთქმულებს, რომლებიც ცხოვრობენ დღეს ბერლინში ჩეხიის მთავრობის ფულებზე. თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ პროცესზე რამდენსაც მოისურვებთ, ათვალიეროთ საბუთები, წარმოსთქვათ სიტყვები, იტიროთ და იცინოთ. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც წარმოადგენს ციხესიმაგრეს კაპიტალის წინააღმდეგ, ჩვენ ნებას არ მივცემთ კაპიტალისტების მიერ გამოგზავნილ მზვერავებს, დაათვალიერონ ჩვენი ძალები, გააბან თავისი ქსელები და ამზადონ ჩვენს წინააღმდეგ მახინაციები.
>
> ასეთი იყო ჩვენი პასუხი და მას გაიგებს ყველა შეგნებული მუშა, რომლებმაც სამუდამოდ გასწყვიტეს კავშირი „დიდი სახელმწიფოების“ ლაქიებთან, რევოლიუციონური პროლეტარიატის ბელადების მკვლელებთან“.

მაგრამ აზრს ასეთი პასუხისას გაიგებენ არა მარტო მუშები, ის გაიგო კარგათ ამ საქმეში დაინტერესებულმა მოწინააღმდეგე მხარემაც.

როგორც ირკვევა, ესერების შემადგენლობა იმ დამცველთა ჯგუფის რომელიც მოდიოდა რუსეთში, უარს ამბობს დღეს პროცესზე დასწრებაზე. მიზეზი? ოფიციალურათ ის, რომ მათი დასწრებით პროცესს და მათ მიერ მათივე პარტიის წევრების დაცვას მიეცემა პოლიტიკური ხასიათი და არა იურიდიული.

ეს გადაწყვეტილება მათ გამოიტანეს მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ აცნობა, რომ მათი შემოსვლა რუსეთში იქნება მხოლოდ განსაზღვრული ხასიათის, რომ აღკვეთილი ექნებათ ყოველგვარი საშუალება, აგენტურული ცნობები შეკრიბონ მათ და მიაწოდონ მათ გამომგზავნთა იმპერიალისტური სახელმწიფოების კაბინეტებს. ამ უკან დახევით მათ სურთ იმავე დროს სთქვან, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, რომ პარტია თავის საკუთარი ძალებით არ იღებდა მონაწილეობას ბრალდებულთა დაცვაში და ისინიც ამიტომ დამარცხდნენ. ამ ხრიკებზე აიძულებს მათ ის დიდი გამამტყუნებელი მასალა, რომელიც მოგროვდა ამ საქმის შესახებ და ბრალდებულთა სკამზე სვამს მთელ პარტიას და მასთან მთელ მის ხელშემწყობ კონტრ-რევოლიუციას. ეს არის მათი პირველი უკან დახევა, მომასწავებელი მათი საქმის საბოლოოთ დამარცხების, მთელი პარტიის გაბახებისა და გაპირშავების.

კონტრ-რევოლიუციამ ესერების ხელით მოკლა პროლეტარიატის ბელადებიდან ერთნი, სასიკვდილოთ დასჭრა მეორენი. როდესაც ავაზაკები მართლ მსაჯულებას ჩაუვარდნენ ხელში, იგივე კონტრ-რევოლიუცია მოეშველა მათ და ამ მიზნით აგზავნიან რუსეთში „დამცველებს“, ფაქტიურად კი აგენტებს თავისი „კონტრ-რაზვედკისათვის“. ეს ცდაც სამარცხვინოთ დათავდება მათთვის ისევე, როგორც დათავდა სხვა ინტერვენციები ასეთივე მიზნით. საქმის ასეთი დაბოლოების თავდებია სიმტკიცე რევოლიუციონური მთავრობის ამ საქმეშიდაც ისევე როგორც ყოველთვის; და ამისავე გარანტიას იძლევა რუსეთის პროლეტარიატის ერთსულოვანი აღშფოთება ამ მკვლელებით.

⁂

არის თუ არა დასაშვები, რომ შრომის ბირჟამ გასამრჯელო აიღოს;

ამ კითხვას არჩევს გაზ. „ტრუდ“, ორგანო პროფკავშირების სრულიად რუსეთის საბჭოსი.

წერილის ავტორი გამოხატავს ბუნებრივ რეაქციას ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების იმ უკიდურესობის წინააღმდეგ, რომელიც დასჩემდათ ზოგიერთ დაწესებულებათ ყოველ ნაბიჯზე გასამრჯელოს აღებით. ამ უკიდურესობის ტალღამ მიაღწია ბირჟებამდისაც, რომლებიც სცდილობენ ზოგან გასამრჯელო აიღონ თავის მოვალეობის ასრულებისათვის და მით საშუალება ჰპოვონ თავისივე ჯიბით გაუსწორდნენ საკუთარ მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობენ ამ დაწესებულებაში. ავტორის სამართლიანი აზრით მიუღებელია, რომ შრომის ბირჟამ გადაახდევინოს რამე მრეწველს—მუშებზე, რასაკვირველია, ლაპარაკიც არ არის—იმისთვის, რომ მან, მისი მოთხოვნილების თანახმათ, გაუგზავნა სამუშაოთ ბირჟის რეგისტრაციაში შეტანილი უმუშევარნი.

მაგრამ თუ ბირჟას არ ყავს აღებული აღრიცხვაზე მუშები, რომლებსაც მოითხოვს მწარმოებელი, ამ შემთხვევაში მას შეუძლია, და კიდევაც ვალდებულია, ასეთი მუშების საშოვნათ აამუშაოს თავისი აპარატი, რათა მრეწველმა თვითონ არ მიმართოს შრომის ბაზარს. მხოლოთ ასეთ შემთხვევაში ბირჟას შეუძლია გასამრჯელოს აღება მრეწველისაგან. ამ აზრით არის შემუშავებული შრომის კომისარიატის მიერ დეკრეტის პროექტი, რომლის შინაარს ამ საკითხის შესახებ—აღება თუ არ აღება გასამრჯელოსი—ასე გადმოგვცემს ავტორი:

> „სტოვებს რა სრულიათ უსასყიდლოთ ბირჟების საშუამავლო მუშაობას და მოითხოვს რა სასტიკ პასუხისმგებლობას იმ პირთაგან, რომლებიც ხდიან ამ მუშაობას შემოსავლის წყაროთ, დეკრეტი ნებას რთავს დაფარულ იყოს ბირჟების მიერ გაწეული ხარჯი იმ მუშების შოვნისათვის, რომლებიც არ არიან აღრიცხული როგორც უმუშევარნი“.

დამამტკიცებელია ლოიდ ჯორჯის აზრით, საფინანსო, ეკონომიური და სატრანსპორტო კომისიების მუშაობა.

ბორდო, (ფრანგული რადიო) პლენარული სხდომა, რომლის დასრულებით გამოაცხადეს კონფერენციის პარასკევს დახურვა დილის 9 საათზე. ამ სხდომას დაესწრო სტუმართა შორის გენუის არქიეპისკოპოსი. კონფერენციამ პირველ ყოვლისა დაადასტურა ეკონომიურ კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილებანი. მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნული იყო დიდი მნიშვნელობა მიწათმოქმედების მრეწველობისა და აუცილებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიერებისა. შემდეგ სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული ზოგიერთ სახელმწიფოთა ნედლი მასალით უზრუნველყოფის საკითხს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეკონომიურმა კომისიამ ფულის გადახურდავების მოწესრიგების აუცილებლობას. ეკონომიურ კომისიას სასიამოვნოდ მიაჩნია სახელმწიფოთა შორის კერძო ხელშეკრულებათა დადება და თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო მაშტაბით აღდგენა. ეკონომიური კომისიის თავმჯდომარე თავის სიტყვის დროს იძულებული იყო დროებით შეჩერებულიყო, რადგან მას სიტყვა შეაწყვეტინა ჩიჩერინის შენიშვნამ. უპასუხა რა ჩიჩერინს კოლრატმა განაცხადა: ყოველ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს, იმ კარგი პირობების დროს, რომელშიც არსებობს დღეს რუსეთი, არ შეუძლიათ მისცენ რჩევა-დარიგებანი სხვა სახელმწიფოებს.

ეკონომიურ კომისიის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა პოლიტიკური კომისიის მოხსენება. ბარტუმ განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაცია, რომელიც ეყრდნობა კანაში მიღებულ დადგენილებებს, წინადადებას აძლევს ყველა დელეგაციებს მიიღონ პოლიტიკურ კომისიის ყველა დადგენილებანი. ფაქტამ, კონფერენციის დახურვისას, იტალიის სახელით სალამი მიუძღვნა ყველა დელეგატებს.

პოლიტიკურ კომისიაში

გენუა, 19 მაისი. (იტალიის რადიო). (დაგვიანებით არის მიღებული). 18 მაისს მოხდა პირველი კომისიის სხდომა. თავმჯდომარეობდა ფაქტა. ვრცელი მოხსენება გააკეთა შანცერმა. შანცერმა გამოაქვეყნა ქვეკომისიისაგან მოწონებული დოკუმენტი. შანცერის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომლის დროსაც უმთავრესად ეხებოდენ დროებითი სამშვიდობო შეთანხმების პუნქტებს.

გარანტიათა ხელშეკრულება.

გენუა. 19 მაისი. (იტალიის რადიო). პოლიტიკურ კომისიაში გარანტიათა ხელშეკრულების განხილვის დროს, ლიტვის წარმომადგენელმა გელვანოუსკასმა შეიტანა შეკითხვა: შეიძლება თუ არა თავდასხმაზე უარის თქმის ხელშეკრულება გახდეს გარანტიად მაგალითად იმისა, რომ ლიტვა არ გახდეს ობიექტად თავდასხმისა პოლონეთის მხრივ. პოლონეთის წარმომადგენელმა სკირმუნდმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ პოლონეთს სავსებით მშვიდობიანობის იდეა ახელმძღვანელებს. რუსეთის სახელით ჩიჩერინმა განაცხადა, რომ მას ხსენებული ხელშეკრულება ესმის ისე, როგორც ისეთი ხელშეკრულება, რომელიც იძლევა ტერიტორიალურ სტატუს ქვოს ხელუხლებლობის გარანტიას და რომ ეს ხელშეკრულება ვრცელდება არა მარტო რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებზე, არამედ ყველა იმ სახელმწიფოებზე, რომელთანაც ერთად რუსეთი აწერს ხელს ამ ხელშეკრულებას. ესტონიის წარმომადგენელმა პუსტამ განაცხადა, რომ ესტონია მზად არის ხელი მოაწეროს თავდასხმის შესახებ მიღებულ ხელშეკრულებას. ესტონიას განზრახვა აქვს ამ ხელშეკრულების დამოუკიდებლივ, მიიღოს აგრეთვე ის ხელშეკრულება, რომელიც მან დასდვა რუსეთთან. ვინაიდან ორატორთა სია ამოიწურა და აღარავინ აღმოჩნდა მსურველი რაიმე შესწორების შეტანისა, თავმჯდომარე ფაქტამ განაცხადა, რომ თავდასხმის შესახებ შემუშავებული ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს მიღებულად.

ჰოლანდიის სტუმართმოყვარეობა.

გენუა 19 მაისი. (იტალიის რადიო). პოლიტიკურ კომისიის სხდომაზე ჰოლანდიის წარმომადგენელმა პატინმა განაცხადა, რომ მისი სახელმწიფო ბედნიერი იქნება ჰააგაში ყველა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს სათანადო სტუმართმოყვარეობით მოეპყრას, რომელთაც დავალება ექნებათ, განაგრძონ რუსეთის საკითხის განხილვა. თავმჯდომარე ფაქტამ მხურვალე მადლობა გადაუხადა ნიდერლანდიის დელეგატს ამ განცხადებისათვის. დასასრულ ლოიდ ჯორჯმა წინადადება მისცა კომისიას მიენდოთ კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტასათვის შეთანხმების მოხდენა ნიდერლანდიის მთავრობასთან ჰააგაში კომისიის მოწვევის შესახებ. ეს წინადადება მიღებულ იქმნა, რის შემდეგაც თავმჯდომარე ფაქტამ მადლობა გადაუხადა ლოიდ ჯორჯსა და მთელ კომისიას იმის შესახებ, რომ მას დააკისრეს ასეთი პატივსადები დავალება.

სანტა-მარგარიტა, 19 მაისი. (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო, მოსკოვით). პოლიტიკურ კომისიის 17 მაისის სხდომაზე ჩიჩერინმა შეიტანა ზოგიერთი შესწორებანი შეთანხმებისა და თავდასხმის ხელშეკრულების პროექტებში. დანარჩენ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი თანახმა არიან შეიტანონ ჩიჩერინის განცხადება ოქმში, რაც შესრულებულ იქმნა. თავდასხმის ხელშეკრულების იმ მუხლში, სადაც ნათქვამია ძალდატანებითი ზომების გამოწვევის შესახებ, ჩიჩერინმა წინადადება შეიტანა სიტყვა „გამოწვევა“ შეეცვალათ სიტყვა „მომზადებით“, რაც გულისხმობს პირდაპირ უშუალოთ პიროვნულ დახმარებას—თვით ამ მოქმედებაში. დანარჩენ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სიტყვა „გამოწვევა“ უნდა გავიგოთ „მომზადების“ მნიშვნელობით; ეს განცხადებაც აქნა შეტანილი ოქმში.

ბრატიანუს შეკითხვაზე ბუქარესტის თავდასხმათა შესახებ, ჩიჩერინმა განაცხადა, რომ არც საბჭოთა მთავრობა და არც კომპარტია არ მისდევენ ტერორისტულ თავდასხმათა განზრახვებს. ჩიჩერინმა წარადგინა ფოტოგრაფიები და დოკუმენტები იმის შესახებ, თუ ვრანგელის მიმდევრები როგორ ამზადებენ თავდასხმას საბჭოთა რესპუბლიკაზე. სკირმუნდმა და ბრატიანომ კატეგორიულად განაცხადეს, რომ მათ არ მიაჩნიათ შესაძლებლად ბანდების თავდასხმა.

შანცერის მოხსენება რუსეთთან წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ

გენუა. 19 მაისი. (იტალიის რადიო). (დაგვიანებით არის მიღებული) შანცერმა, როგორც ქვეკომისიის თავმჯდომარემ, წარადგინა პირველ (პოლიტიკურ) კომისიაში მოხსენება, რომელიც წარმოადგენს რუსეთთან წარმოებულ მოლაპარაკების კერძო მომენტების შეჯამებას.

„მაქვს პატივი წარუდგინო დასადასტურებლად კომისიას ის მოხსენება, რომელიც მოწონებულ იქნა ქვეკომისიის მიერ 18 მაისს და რომელიც ეხება ჰააგაში იმ საკითხის განხილვის განგრძობას, რომელიც დაიწყო აქ გენუაში, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლებთან, რათა შესაძლებელი გახდეს შეთანხმების მიღწევა ვალების, კერძო საკუთრების და კრედიტების საკითხებში და დასასრულ თავდასხმის საქმეშიც. აუცილებლად მიმაჩნია, საერთოდ, მოვახსენო კომისიას თვით რუსეთის საკითხის განხილვის განვითარების ისტორია მისი დაწყებიდან დღევანდელ დღემდის და აგრეთვე აღვნიშნო ის თუ როგორ მიაღწია ქვეკომისიამ იმ დოკუმენტის შემუშავებას, რომელიც ეხლა ეძლევა კომისიას დასადასტურებლად.

რუსეთის საკითხის განხილვის პირველი პერიოდი იწყება ქვეკომისიის პირველი სხდომიდან, როდესაც რუსეთის დელეგაციას წარედგინა პროექტი, რომელიც შემუშავებული იყო მოკავშირეთა ექსპერტების მიერ ლონდონში და რომელიც წარმოადგენდა სახელმძღვანელო მასალას ძირითადი საკითხების განხილვის დროს, რათა შესაძლებელი გამხდარიყო რუსეთთან საერთო შეთანხმება,—სახელდობ, წარსულის ლიკვიდაცია, მომავლისათვის სათანადო პირობების გამომუშავება და იმ ზომათა გამონახვა, რომელიც გააადვილებდა რუსეთის ეკონომიურ დაუყონებლივ აღდგენის საქმეს. ამავე პერიოდს ეხება ის კერძო თათბირები, რომელიც იმართებოდა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა, რომელთა ექსპერტებმაც შეიმუშავეს აღნიშნული დოკუმენტები, და რუსეთის წარმომადგენლებს შორის.

ამ სხდომების დროს დელეგატები სცდილობდენ თავი განთავისუფლებინათ პირველი რიგის საკითხებიდან, რომელიც ეხებოდენ წარსულის ლიკვიდაციას. 15 აპრილს შემუშავებულ და შესწორებულ იქნა და გადაეცა რუსეთის დელეგატებს პატარა და ჩამოყალიბებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა იმ პრინციპებს, რომელნიც საფუძვლად უნდა დადებოდა ვალებისა და კერძო საკუთრების საკითხების გადაწყვეტის საქმეს. რუსეთის დელეგაციამ ამაზე უპასუხა ნოტით 20 აპრილს. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაარსდა სპეციალური კომისია ექსპერტებისა, რომელსაც რუსეთის დელეგატებთან ერთად უნდა განეხილა 20 აპრილის ნოტა.

მეორე პერიოდი რუსეთის საკითხის განხილვაში იწყება ექსპერტთა კომისიის მიერ ამ საკითხის შესწავლის დაწყებით. ექსპერტებს უნდა შეემუშავებიათ ის დადგენილებები, რომელიც პირველ ყოვლისა წარედგინებოდა ქვეკომისიას და შემდეგ პირველ კომისიას. ექსპერტებს ქონდათ ოთხი სხდომა 22, 23 და 24 აპრილის განმავლობაში. რუსეთის დელეგატებთან შეერთებულ სხდომაზე გამოირკვა, რომ ორივე მხარე ძალიან შორს არის თავიანთ შეხედულებათა შეთანხმებიდან. იმ დოკუმენტის მიხედვით, რომელიც წარადგინეს 24 აპრილის სხდომაზე რუსეთის ექსპერტებმა და აგრეთვე რუსეთის პრობლემის შესახებ ზოგიერთ მოსაზრებათა დამატებით და ამასთან იმ პირობების გამორკვევით, რომელნიც აუცილებელნი არიან რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის აღდგენისათვის,—შემუშავებულ იქნა ის დოკუმენტი, რომელიც შემდეგ მემორანდუმის სახით 2 მაისს გადაეცა რუსეთის დელეგაციას. ჩიჩერინის 11 მაისის პასუხი, რომელიც გაეგზავნა ქვეკომისიის თავმჯდომარეს, სწორედ ამ დოკუმენტს ეხება.

ამ პასუხის მიღება შეუძლებელ გარემოებათ იქნა ცნობილი. მიუხედავად ამისა მხედველობაში იქნა მიღებული ის აზრი, რომ დაარსებული ყოფილიყო ექსპერტთა ორი კომისია იმ მუშაობის გასაგრძელებლად, რომელიც დაიწყო გენუაში. ამისდამიხედვით იმ დოკუმენტში, რომლის წარმოდგენის პატივიც მე მაქვს, კომისია წინადადებას იძლევა დაარსებულ იქნეს ერთი არა რუსული, ხოლო მეორე რუსული კომისია. ეს კომისია უნდა შეიკრიბოს ჰააგაში 26 ივლისს და მან უნდა მოახდინოს იმ საშვალებათა გამოძებნა, რომელიც შესაძლებელს გახდის ვალების, კერძო საკუთრებისა და კრედიტების საკითხების გადაჭრას. გენუის კონფერენციის თავმჯდომარე იმ მანდატის მიხედვით, რომელიც მას აქ უბოძეს, მოიწვევს აქ წარმოდგენილ სახელმწიფოებს მიიღონ მონაწილეობა ჰააგის მუშაობაში. მან (შანცერმა) უკვე აცნობა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ და სურვილი გამოსთქვა, რომ მანაც მიიღოს მონაწილეობა ჰააგაში მოწვეულ კრებაში. სამწუხაროთ, დღევანდელ პირობებში ვაშინგტონის მთავრობამ ვერ სცნო შესაძლებლად მონაწილეობის მიღება ჰააგის მუშაობაში. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ იმაში, რომ რუსეთის საკითხის რაც შეიძლება დაჩქარებით გადაწყვეტა ნაკარნახევია არსებითი ინტერესებისაგან. სწორედ ამ მიზნისთვის იკრიბება ექსპერტების კომისია ჰააგაში 25 ივლისს კომისიის მუშაობისთვის მაქსიმალურ ვადათ დანიშნულია 3 თვე. კომისიამ საჭიროდ სცნო ჰააგაში მოსაწვევ კომისიის დოკუმენტისათვის დაერთო აგრეთვე თვით მუშაობის პროგრამაც და თავდასხმის შესახებ ხელშეკრულებაც რუსეთსა და სხვა იმ სახელმწიფოთა შორის დადებული, რომელნიც მიიღებენ ამ წინადადებას. ეს დაურთეც იმისათვის, რომ კომისიას შეძლება მიეცეს იმუშაოს ურთიერთ ნდობისა და მშვიდობიანობის ატმოსფერაში და განსაკუთრებით იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ზავისა და მშვიდობიანობის პროგრამა, რაც უმთავრესი მიზეზი იყო გენუის კონფერენციის მოწვევისა.

გამოსამშვიდობებელი რაუტი

ბერლინი. 20 მაისი (გერმანული რადიო). 19 მაისს მირამარის შენობაში ლოიდ ჯორჯმა გაუმართა რაუტი იტალიის დელეგაციას და იტალიელ ჟურნალისტებს. რაუტზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე ბრიტანეთის და ამერიკულ პრესის წარმომადგენლებიც. პირველი სადღეგრძელოთი ინგლისის ჟურნალისტი—სერ ადამი, მიესალმა იტალიის და ინგლისის მეფეებს და ამერიკის პრეზიდენტს, რომელიც თუმც პირადათ არ დასწრებია რაუტს, მაგრამ წარმოდგენილი იყო მასზე თავის ღირსეულ ჟურნალისტების სახით. შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა სამჯერ ზედი ზედ აიღო ჭიქა—იტალიის მეფის და პრეზიდენტ გარდინგის სადღეგრძელოთ. ხანგრძლივ ოვაციების შემდეგ, რომელიც დამსწრე საზოგადოებამ გაუმართა ლოიდ ჯორჯს, ინგლისის პრემიერმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ბატონო თავმჯდომარე და პატივცემულო საზოგადოებავ! მე სიამოვნებით ვიღებ ჭიქას და ვაცხადებ იტალიის სადღეგრძელოს. ჩემს სიცოცხლეში პირველი არის ისეთი მომენტი, როდესაც მე ასეთი ენტუზიაზმით ვაცხადებ სადღეგრძელოს, იმ შემთხვევების შემდეგ, რომლის მოწმენი ჩვენ გავხდით ამ უკანასკნელ კვირეების განმავლობაში. გენუაში ყოფნის დროს მე ვნახე სახლები, რომელშიაც უცხოვრიათ ორ უდიდეს ინგლისელს—ლორდ ბაირონს და ჩარლზ ლიკენსს. როდესაც მე სახლებს გვერდით ჩავუარე, მე მხოლოდ მაშინ გავიგე, თუ რათ ხდება იტალია მეორე სამშობლოთ, ყველა აქ მცირე ხნით ჩამოსულ ინგლისელებისათვის. თქვენ, ვინც ამ კურთხეულ ცის ქვეშა ხართ დაბადებულნი, ვერასოდეს ვერ გაიგებთ იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს ჩვენზედ ეს ულამაზესი ქვეყანა. თქვენი ლურჯი ცის კამარა ბრწყინავს, მაგრამ თქვენთან ყოფნის დროს, იმ რამდენიმე კვირაში მე დავრწმუნდი, რომ მზე მხოლოდ თქვენ ცას კი არ ჰფენს ნათელს, არამედ თქვენი სულიც გამსჭვალულია ნათელი მზის სხივით. იტალია და ინგლისი ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ხშირად იდგენ ხოლმე ერთსა და იმავე თვალსაზრისზედ და საბედნიეროდ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა ბოლოს ჩვეულებად გადაიქცა“.

დელეგატების დაშლა.

რომი. 21 მაისი. (იტალიის რადიო). 19 მაისს ლოიდ-ჯორჯი ინგლისის დელეგაციის ნაწილით გაემგზავრა ლონდონში. ლოიდ-ჯორჯი გააცილა მთელმა იტალიის დელეგაციამ ფაქტას და შანცერის მეთაურობით. მათ შორის იყო ბარტუც. აუარებელმა საზოგადოებამ დიდი ოვაციები გაუმართა ლოიდ-ჯორჯს.

დაწვრილებითი ცნობები უკანასკნელ სხდომის შესახებ

უკანასკნელ სხდომის შესახებ.

გენუა (20 მაისი, იტალიის რადიო) 19 მაისს შესდგა კონფერენციის უკანასკნელი პლენარული სხდომა, რომელიც დამთავრდა 13 ს. 15 წ. ამ უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა შემდეგი საკითხები: 1 მეორე პლენარულ სხდომის ოქმის დამტკიცება, 2) მე 3 კომისიის (ეკონომიურ კომ.) მუშაობის განხილვა; 3) პირველ კომისიის მუშაობის განხილვა; 4) რწმუნებულების უფლებათა გადასინჯვის შესახებ, კომისიის მოხსენების განხილვა; 5) ვარშავის სანიტარულ კონფერენციასთან დაკავშირებულ მასალების განხილვა; 6) საერთაშორისო წითელ ჯვრის საზოგადოების მშვიდობიან დროის მოღვაწეობის შესახებ მასალების განხილვა; 7) საბოლოო სიტყვები. კონფერენციის მიერ მიღებული იყო მე 3 კომისიის დადგენილებანი ზოგიერთი შენიშვნებით. მოწონებული იყო აგრეთვე პირველ კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ჰააგაში იმ მუშაობის გაგრძელების შესახებ, რომელიც დაიწყო გენუაში რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დელეგატებთან ერთად და რომელიც მიმართულია ვალის, კერძო საკუთრების და კრედიტის საკითხებში შესაძლო შეთანხმების მიღწევისა და აგრეთვე მშვიდობიანობის შესახებ ხელშეკრულების გამომუშავებისკენ. მოწონებულ იქნა შემდეგი დადგენილება: „გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს ეთხოვოს ნიდერლანდების მთავრობის თანხმობით მიიღოს ყველა საჭირო ზომები ჰააგაში კომისიის მოსაწვევად.“

ბოლოს უკამათოთ მოწონებული და მიღებული იყო კონფერენციის მიერ რწმუნებულობის უფლებათა გამსინჯველ კომისიის მოხსენება.

სანტა მარგარიტა. 19 მაისი. (რუსეთის დელეგაციის პრეს-ბიუროს რადიო. მოსკოვით). კონფერენციის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა რატენაუს სიტყვამ, რომელმაც მკაცრი კრიტიკა გაუკეთა ეკონომიურ კომისიის რეზოლუციას და დაამტკიცა მისი უნაყოფობა მაშინ, როდესაც სწარმოებს სეპარაციის გასაოცარი პოლიტიკა.

თავდასხმის შესახებ მიღებულ ხელშეკრულებაში იაპონელებმა შეიტანეს შესწორება იმის შესახებ, რომ ეს ხელშეკრულება არ უნდა ეხებოდეს იაპონიის ჯარებს, რომელნიც ამჟამად იმყოფებიან ციმბირში. არ ვიცით იაპონია ამით გულისხმობდა ციმბირში თავისი ჯარების ისევ დატოვებას, თუ იმას, რომ მათ „გახსნილი ქონოდათ ხელები“ ახალი თავდასხმების მოსაწყობად.

კონფერენცია დაიხურა ლოიდ-ჯორჯისა, ბარტუს, ჩიჩერინის და სხვ. უკანასკნელი სიტყვით, რომელთაც მადლობა გადაუხადეს იტალიის მთავრობას გაწეული სტუმართმოყვარეობისათვის. ბარტუმ შესჩივლა იმის შესახებ, რომ პეტროგრადში დასწვეს მისი სურათი და სთხოვა რუსეთის დელეგაციას დაემოწმებია მათთვის, რომ ის ისევ ცოცხალია და რომ საფრანგეთი მუდამ მზად არის დაეხმაროს რუსეთის გაჭირვებულთ. ამას ქონდა მწარე ირონიის ხასიათი იმ მრავალი ცდის შემდეგ, რომლითაც საფრანგეთი სცდილობდა ჩაეშალა კონფერენცია.

კონფერენციის გარშემო

ამერიკა და ჰააგის თათბირი.

ვარშავა. 18. მაისი. (რადიო მოსკოვით). გაზეთი „ნიუ-იორკ გერალდი“ ეხება რა ამერიკის უარს ჰააგის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე აცხადებს, რომ ვაშინგტონის მთავრობა ვერ მიიღებს მონაწილეობას იმ მუშაობაში, რომლის ერთად ერთი მიზანიც არის გენუის კონფერენციის მარცხის მიფუჩეჩება.

ინგლისის დელეგაცია აღნიშნავს, რომ ამერიკის ნოტა სტოვებს შესაძლებლობას მოლაპარაკების გაგრძელებისას. ლოიდ ჯორჯს იმედი აქვს იმისა, რომ იგი დაითანხმებს ამერიკას რუსეთთან მოლაპარაკების მონაწილეობის მიღებაში.

იტალიის წრეებს მიაჩნია, რომ ამერიკის ნოტას განზრახვა აქვს შესცვალოს ჰააგის თათბირის პროგრამა.

გენუის კონფერენციის შედეგები.

მოსკოვი. 21 მაისი, (რადიო). ლოიდ-ჯორჯმა განუცხადა იტალიელ ჟურნალისტებს, რომ გენუაში დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული ევროპაში პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგებისაკენ. გენუის მუშაობის სხვა ადგილას და სხვა ფორმით გაგრძელება სამედო გარემოებათ უნდა ჩაითვალოს. ლოიდ-ჯორჯმა აღნიშნა, რომ ისტორიაში პირველია ისეთი მაგალითი, როდესაც ევროპის აღმოსავლეთში დადებულ ხელშეკრულება თავდასხმათა უარყოფის შესახებ. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ კონფერენცია გრძელდება სხვა სახით უფრო უკეთეს პირობებში. გენუის კონფერენციამ გადასწყვიტა როგორათაც არ უნდა დაჯდეს გადასჭრას რუსეთის საკითხი, რომელიც განიხილება სხვა ადგილებზე და მოგვცემს ახალ შედეგებს.

იტალიის დამსახურებანი.

ბერლინი. 20 მაისი. გერმანული რადიო. იტალიის პრესის განცხადებით გენუის კონფერენციამ მოწინააღმდეგე ერთა ურთიერთობაც კი გააუმჯობესა. გარდა ამისა, მან გამოაცოცხლა ამერიკის ინტერესი ევროპისადმი.

ნაუენი, 20 მაისი. (გერმანული რადიო) იტალიურ ჟურნალისტებთან საუბრის დროს ფაქტამ განაცხადა: იტალიას მიზნად აქვს დასახული შერიგების და სოლიდარობის პოლიტიკის განხორციელება. მის მიზანს მთელი ქვეყნიერების ინტერესების დაცვა შეადგენს, ხოლო ამავე დროს ის, რა თქმა უნდა, არ ივიწყებს საკუთარ ინტერესებსაც, როგორც ეს სჩანს იმ წინასწარ მოლაპარაკებიდან, რომელიც დამთავრდა ბოლოს რუსეთ იტალიის სავაჭრო ხელშეკრულებით. ავტორი დასასრულ გამოსთქვამს რწმენას, რომ გენუის კონფერენციას რამოდენიმე თვე რომ გაგრძელებულიყო, რუსეთის საკითხი საბოლოოდ იქნებოდა გადაჭრილი.

საფრანგეთის საფრთხე.

ნაუენი. 21 მაისი (გერმანიის რადიო) გაზეთი „პოპოლო რომანო“ ამტკიცებს, რომ საფრთხე საფრანგეთის მხრივ შემცირდა უმთავრესად იმ ენერგიულ წინააღმდეგობის გამო, რომელიც გაუწიეს პუანკარიზმს კონფერენციაზე წარმოდგენილ ყველა სახელმწიფოებმა.

ბჭობა რუსეთის საკითხის შესახებ.

ბორდო. (21 მაისი, საფრანგეთის რადიო). გაზეთი „ჟურნალ დე დებას“-ს ცნობით გენუაში შესდგა საბჭოთა რუსეთის საკითხის შესახებ. საბჭოს სხდომას დაესწრნენ ლოიდ-ჯორჯი, შანცერი და ამერიკის ელჩი ჩაილდი. ამერიკას წარმომადგენელმა აილდმა განაცხადა: „თუმც შეერთებულ შტატებს არავითარ შემთხვევაში არ სწადიანთ რუსეთის საკითხის გამომრკვევ ექსპერტების მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა, მაგრამ ის მაინც ჰფიქრობს, რომ ექსპერტებმა განსაკუთრებით რუსეთის საკითხის განხილვაზე უნდა იმუშაონ. ვაშინგტონის ავტორიტეტული წრეები ჩაილდის სიტყვებით დარწმუნებული არიან, რომ ექსპერტების მუშაობა და რუსეთის მდგომარეობის გამორკვევა უეჭველათ იმ დასკვნას გულისხმობს, რომ საბჭოების რეჟიმი თავის თავად უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას წარმოადგენს რუსეთის აღდგენის საკითხში.

წითელ რესპუბლიკებში

პატრიარქ ნიკონის გადაყენების გამო.

მოსკოვი. 20 მაისი. ეკლესიის საქმეების დროებითი სამართველოს ერთ ერთი უახლოესი ზომა არის ეპარქიალურ და სამაზრო საბჭოების ძირითადი რეფორმა, რომლებიც გადახალისებული იქნებიან მათი პირადი შემადგენლობისა და მოქმედების კომპეტენციის მხრივ. უახლოეს დროში განზრახულია მიიღონ ზომები რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის ადგილობრივად კრებების მოსაწვევად, რომელიც მუშაობის წარმატებით მღვდლობასთან შესდგება აგვისტოში.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულება.

მოსკოვი. 20 მაისი. (რადიო). მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე მსჯელობა ქონდათ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე—რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის დამოკიდებულების შესახებ ავტონომიურ რესპუბლიკის სათანადო სამიწად-მოქმედო ორგანოებთან. ამხ. მესიატევის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი არ ერევა ავტონომიურ რესპუბლიკების ტერიტორიის საქმეებში. დადგენილია მოიწვიონ განსაკუთრებული კონფერენცია დამოუკიდებელ რესპუბლიკების წარმომადგენლებისა, ფედერალურ რესპუბლიკების მომწიფებულ საურთიერთო საკითხების გამოსარკვევად. კოლეგიამ აირჩია კომისია დებულებების გამოსამუშავებლად საქმიან კავშირის დასამყარებლად საბჭოთა რუსეთის მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატსა და ავტონომიურ რესპუბლიკების მიწად მოქმედების კომისარიატებს შორის.

ონოსენკოს მოკვლა.

მოსკოვი. 20 მაისი, 9 მარტს ჩიტასთან ბანდიტებმა მოკლეს შორეულ აღმოსავლეთის ბიუროს და სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ონოსენკო, მუშა რომელიც პარტიაში შევიდა 1905 წელს. ონოსენკომ გაიარა „იატაკქვეშ“ პროპაგანდის სკოლა, იყო გადასახლებული და უკანასკნელ დღემდი ასრულებდა დიდ პარტიულ მუშაობას.

უმაღლესი სკოლა.

მოსკოვი. 20 მაისი, (რადიო). პროფესორთა მთავარი ბიურო აწყობს ყველა უნივერსიტეტების რექტორთა მუდმივ სათათბიროს იმ საკითხების გამოსარკვევად, რომელიც ეხება უმაღლეს სკოლას.

რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კონფერენცია.

მოსკოვი. 20 მაისი, (რადიო) დამთავრდა რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კონფერენცია, რომელმაც მიიღო რეზოლუციები მცირე წლოვანებისათვის შრომის მოწესრიგების შესახებ, სკოლების შენების დარგში და მშრომელ ახალგაზრდობის შორის პროლეტარული სულისკვეთების განმტკიცების შესახებ. კონფერენციამ დაადგინა კავშირის გლეხური ნაწილი არ გააბნიონ და პოლიტიკურად ფორმა შესხან კავშირში დარჩენილ იაჩეიკებს მათი აქტიურ მუშაობაში მიმხრობით: განზრახულია განმანათლებელ მუშაობის გაფართოება და კავშირის საორგანიზაციო აპარატის განმარტოვება. დადგენილია შეამცირონ საკანდიდატო სტაჟის ვადა.

სამღვდელოების კონტრრევოლიუციონური მუშაობა.

ხარკოვი. 20 მაისი. (რადიო). კიევში, მიხეილის მონასტერში განძეულობის გადამალვის შესახებ წარმოებულ გამოძიების დროს, მიტროპოლიტ ანტონის ყოფილ მდივანს აღმოაჩნდა დიდი მნიშვნელობის ისტორიული მასალა. იპოვეს მიტროპოლიტ ანტონის მიწერ-მოწერა გეტმან სკოროპადსკისთან და გერმანიის საოკუპაციო ჯარის შტაბის უფროსს გენერალ გრენერთან

მიწერ-მოწერა ამტკიცებს იმ კონტრრევოლიუციონურ როლს, რომელსაც თამაშობდა გეტმანშჩინის დროს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, რომელიც მხარს უჭერდა უკრაინის მცარცველ გენერლებს და გეტმან სკოროპადსკის. საბუთები გადაეცა საისტორიო-სარევოლიუციო არქივს.

რკინის გზის მუშების დაჯილდოება.

ხარკოვი. 20 მაისი. (რადიო) ნიკოლაევის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დააჯილდოვოს ნიკოლაევის მაზრის რკინის გზის მუშები სასურსათო მარშრუტების მოწოდებაში და განტვირთვაში ინტენსიური მუშაობისათვის.

საქონელი საზღვარგარეთიდან.

ხარკოვი. 20 მაისი. (რადიო). 18 მაისს ოდესის ნავთსადგურში შემოვიდა ამერიკული გემი, დატვირთული 100,000 ფ. ამერიკული ფქვილით, 50,000 ფუთი შედუღებული რძით და 24.000 ფ. კრუპით. ხვალ ელოდებიან მეორე გემს, რომელსაც მოაქვს 50.000 ფუთი კრუპა და 33 000 ფ. ქვავი. მოვიდა იტალიის გემი გოგირდით და მიწის დასამუშავებელ მანქანებით დატვირთული.

მარქსისტული სახელმძღვანელოები.

ხარკოვი. 20 მაისი. (რადიო). უკრაინის კომპარტიის ცეკამ მოიწვია კომუნისტი ჟურნალისტები მარქსისტულ სახელმძღვანელოების გამოსაცემად და საბჭოთა პარტიულ სკოლების მსმენელთა ხელმძღვანელებად. წარმოების გეგმას განხორციელება უნდა მოხდეს 6 თვის განმავლობაში.

კაპიტალიზმი სამეფოებში

საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ.

მოსკოვი. 20 მაისი, (რადიო). ამერიკის სენატში სენატორმა ბორდმა წინადადება შეიტანა რუსეთის მთავრობის ცნობის შესახებ სადაც ის ამბობს, რომ უკანასკნელი ეხლა უფრო ძლიერია ვინემ წინედ, რომ ის ნაყოფიერად ებრძვის დაბრკოლებებს და ნაყოფიერად სწყვეტს შინაურ პრობლემებს.

სხვა მთავრობა რუსეთში არ არის და არც შეიძლება იყოს უსაშინელესი სისხლის ღვრის და მსხვერპლის გაუღებლად. მოკავშირეებთან ერთად, ამბობს ბორი, ჩვენ ან უნდა ვიცნოთ რუსეთის ერთად ერთი არსებული მთავრობა, ან უნდა საბოლოოდ გამოვრიცხოთ ის ხალხის ოჯახისაგან. ევროპამ გადასწყვიტა რუსეთი რეაქციის კონტროლს დაუმორჩილოს, რომელიც საუკუნოებით სტანჯავდა მას. რუსეთის ხალხი კი რეაქციონერების ცდას ეწინააღმდეგება.

ირლანდიაში.

მოსკოვი. 20 მაისი, (რადიო). ირლანდიის მთავრობის მოლაპარაკება რესპუბლიკანელების წარმომადგენლები ან, ირლანდიაში მტკიცე ზავის ჩამოგდების შესახებ, გათავდა უშედეგოდ. „დეილი ნიუზ“-ის ცნობით ჯარის კაცების 40 პროცენტი და მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი [illegible] რესპუბლიკანელების მხარეზეა.

რუსეთი და ამერიკა.

მოსკოვი. 20 მაისი, (რადიო). ამერიკის მემანქანეთა და ცეცხლის შემკეთებელთა საერთაშორისო კავშირის კრებამ გამოიტანა რეზოლუცია საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ.

რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების გამო.

ინგლისის სამხედრო პუბლიცისტი მორისი სწერს, რომ რუსეთის და გერმანიის შეთანხმებამ არ უნდა გამოიწვიოს პანიკა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურმა კაცუნებმა ასტეხეს განგაში. საშიშროება არის არა ხელშეკრულებაში, არამედ აღმოსავლეთის წვრილი სახელმწიფოების შეიარაღებაში, როგორიც არის ლიტვა და პოლონეთი, რომელთაც დიდძალი ჯარი მოეპოებათ.

შორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი. 20 მაისი. (რადიო). ჩიტიდან იუწყებიან: ჩიტის წითელი პროფესიონალური ორგანიზაციების კონფერენციამ გადასწყვიტა გამოვიდნენ სახალხოელების მომავალ არჩევნებზე.

კაპელევცების ჯგუფმა, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა სახალხო არმიას ხაბაროვსკთან ბრძოლაში, მოწოდება გამოუშვა, რომელშიდაც აღნიშნავენ მათ მიერ განწყობილებას სახალხო არმიისადმი და სურვილს გამოსთქვამენ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მხარეზე გადასვლის შესახებ. მერკულოვმა ნება დართო პრიმორიაში ოპიუმის თავისუფალ გაყიდვაზე, რის გამო პეკინის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ერთა ლიგაში.

— იაპონელებმა დაამთავრეს ვლადივოსტოკში ახალი დივიზიის გადაყვანა. ამას გარდა ერთი დივიზია კიდევ უნდა გადმოიყვანოს და მაშინ პრიმორიაში იაპონელების ჯარის რიცხვი მიაღწევს 100 000 კაცამდე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ახალციხის მაზრაში.

პირველი მაისის დღესასწაული. პირველი მაისის დღესასწაული მთელს მაზრაში ჩინებულად ჩატარდა. ყველა სოფლებში გამართულ მიტინგებზე გამოტანილ იქნა გენუაში რუსეთის დელეგაციისადმი მისასალმებელი რეზოლიუციები.

ბანდიტიზმი. გაზაფხულის დაწყებისთანავე მაზრაში თავი იჩინა ბანდიტიზმმა. იყო შემთხვევა გაცარცვისა—ბორჩალოსა და გუმბრის მაზრების საზღვრებზე. გამორკვეულია, რომ ბოროტმოქმედნი გადმოდიან აღნიშნულ საზღვრებიდან. მათთან საბრძოლველად და საზღვრების დასაცავად შექმნილ იქმნა მფრინავი რაზმი.

თესვის საქმე. თესვის კამპანია თითქმის დამთავრებულია. თესლი თავის დროზე იქნა მიწოდებული. კარგი ამინდების გამო მოსავალს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს.

სახურსათო ხარკის აკრეფა. სახურსათო ხარკის აკრეფა ნორმალურად მიმდინარეობს. იკრიფება აგრეთვე შემოსავლის ქვლობაში გაწერილი გადასახადი, რომლის აკრეფა სწარმოებს ზოგიერთ შემთხვევაში ნატურით.

სახადი. ძლიერ საშიშ მდგომარეობას ღებულობს შავი სახადი რაც ძლიერ აბრკოლებს საერთოდ ნაყოფიერ მუშაობას მაზრაში. გაჩნდა აგრეთვე ყვავილი, რომლის წინააღმდეგაც მიღებულია ყოველგვარი ზომები.

ახალქალაქის მაზრაში.

კოოპერაციის საქმე. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტმა საჭიროდ სცნო გააძლიეროს მუშაობა კოოპერატივის დარგში, რისთვისაც დაინიშნა პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელსაც წინადადება მიეცა შეიმუშაოს გეგმა მაზრაში კოოპერატივების ქსელის მოსაწყობად და შემოკრიფოს ამ საქმის გარშემო მკოდნე პირები.

სათბობ მასალის დამზადება. ეკონომიური განყოფილება უკვე შეუდგა ტყის მასალის და მომავალ ზამთრისთვის შეშის დამზადებას. დაწესებულებებთ წინადადება მიეცათ სასწრაფოდ წარმოადგინონ მოთხოვნილებანი მომავალ ზამთრისათვის საჭირო შეშის რაოდენობის შესახებ

ბაზრობის მოწყობა. აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით განზრახულია ახალქალაქში მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოეწყოს ბაზრობა, რისთვისაც წინადადება მიეცათ მუშათა კოოპერატივს, ეკონომიური და სასურსათო განყოფილებებს დაამზადონ აღნიშნულ დროისთვის საქონელი გლეხებთან სურსათზე გადასაცვლელად.

აჭარა.

მიწის რეფორმა. როგორც გადმოგვცა მიწის რეფორმის საგანგებო რწმუნებულმა აჭარაში, ამხ. დადიანმა სრულიად აჭარის საბჭოების ყრილობის დადგენილება ბეგების და აღალარების მიწების აჭარის ღარიბეს მცხოვრებლებზე გადაცემის შესახებ, ტარდება ცხოვრებაში რამოდენიმედ დაგვიანებით და ჩამორთმეული მიწის რაციონალურად განაწილება მიმდინარე გაზაფხულში ჯერ ჯერობით ვერ მოხერხდა. ამ საკითხის მოგვარების მიზნით სახალხო კომისართა საბჭომ შექმნა საგანგებო რწმუნებულის თანამდებობა.

ამ თანამდებობის დაწესების დროს ადგილებში სწარმოებდა გაძლიერებული მუშაობა და მიწის აწვავე ნაკლებობა მოითხოვდა, თუნდაც რამოდენიმედ აინც, ბეგების და ჩამორთმეული მიწები გადაცემული ყოფილიყო ღარიბეს მცხოვრებლებზე. ამის შედეგად მოხდა ყველა სახნავი მიწების თავის დროზე ჩამორთმევა და მათი გადაცემა უმიწო გლეხებზე. იყო შემთხვევები როდესაც მიწის მდიდარ დამუშავებულებს ჩამოერთვა ყველა მიწები და მხოლოდ შემდეგ დაუბრუნდა 2 და ზოგიერთს ცოტა მეტი დესიატინა მიწა. ზემო აჭარის ყველაზე უფრო გაჭირვებულ გლეხებს წინადადება მიეცა აიღონ დასამუშავებლად და გამოსაყენებლად ის მიწები, რომლებიც იმყოფება აჭარის სხვა ადგილებში. ამასთან მთავრობას არ აქვს საშუალება დახმარება გაუწიოს მათ საცხოვრებელი მიწით, საქონლით და ოჯახო ნივთებით. მიუხედავად ამისა ეხლაც არის მთელი რიგი შემთხვევებისა, როდესაც გლეხები თავის ოჯახებით სახლდებიან მთიანი რაიონიდან. აჭარაში მოსახმარი კერძო სამფლობელო მიწა მსხვილ ნაჭრებათ უდრის 6,370 დესიატინას. მშრომელ გლეხების მიწის რაოდენობა აჭარაში გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

კინტრიშის რაიონში ითვლება 0,503 კაცი, რომლებიდანაც მუშა ხელი უდრის 10,512 კაცს, მოსახმარი მიწა—8,810 დესიატ აქიდან 4,516 სახნავი. გონიის რაიონში: 5,056 კაცი, მუშა ხელი—2,378, მოსახმარი მიწა—2,579 დეს'იატ. სახნავი 1,507. ამის გარდა არის კიდევ 365 კულტურული ნაჭრები სულ 753 დესიატინა

ქვემო აჭარაში—14,203 სული, მუშა ხელი 7,100, მოსახმარი მიწა—2,175 დეს., სახნავი—1446 ზევითა აჭარაში—22,834 სული, მუშა ხელი—11,450, მოსახმარი მიწა—4,471 დეს. სახნავი—1,949 ამნაირად კინტრიშის რაიონში ერთ მუშა კაცზე მოდის 215 საჟენი სახნავი მიწა; მოსახლეობის მთელი რიცხვიდან 1 სულზე მოდის 105 საჟენი მიწა. გონიის რაიონში ერთ მუშა კაცზე მოდის 400 საჟ სულზე—200 საჟ., ზევითა აჭარაში მუშა კაცზე—102, სულზე—51 საჟ. მიწით სარგებლობის საკითხი ყველაზე უფრო მწვავედ სდგას ზემო აჭარაში. აქ თითო მუშა ხელზე მოდის საშუალოდ—85 საჟ სულზე—42 საჟ ბეგების და აღალარების მიწების ჩამორთმევამ და ღარიბეს მცხოვრებლებზე გადაცემამ გამოიწვია დიდი თანაგრძნობა და მადლობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ღრმა. მოხუცებულებიც კი გამოდიან ამ ჟამად კრებებზე თავიანთი ძველი ბატონების წინააღმდეგ და ესალმებიან საბჭოთა ხელის უფლებას, იყო შემთხვევები როგორც მაგალითად ქედაში, სადაც გლეხები, მიუხედავად სიმშილისა, ერთხმად მიემხრენ კომუნის დაარსებას, რომელიც იზრუნებს ადგილობრივ ობლებზე. მიწების გადაცემასთან დაკავშირებით გლეხებს შორის ხდება გაუგებრობანი, მაგრამ მათ მალე და უმტკივნეულ დ აწესრიგებს ადგილობრივი კომისიები. დაარსებულია მიწის ფონდი მთიანი რაიონის მეტად გაჭირვებული გლეხებისათვის. მიწების გადაცემა ღარიბ მცხოვრებლებზე ჯერ ჯერობით ხდება დროებით, რადგანაც მათ საბოლოო გადაცემა მოხდება მომავალ წელში; მიუხედავად ამისა ეს თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენს თესვის კამპანიის მსვლელობაზე.

აფხაზეთი.

პელენკოვსკის რაიონი აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასკომმა მოისმინა რა საბჭოთა რუსეთის შინაგან საქმეთა კომისარიატის მომართვა საბჭოთა აფხაზეთზე პელენკოვსკის რაიონის შემოერთების შესაძლებლობის შესახებ, დაადგინა მიენდოს აფხაზეთის ცენტ. აღმასკომის მდივანს მიმართოს უშუალოდ რუსეთის ცენტ. აღმასკომში დაწვრილებითი მოხსენებით, რომ საჭიროა აფხაზეთის ტერიტორიაში შევიდეს ადგილები მდინარე ისოუს ნაპირებამდი და ეთხოვოს ცნობილ იქნას აღნიშნული მდინარე საზღვრად აფხაზეთსა და საბჭოთა რუსეთს შუა.

ახალ ათონში. ახალ ათონში ვოლგის დამშეულთა გუბერნიების ბავშვებისათვის მოწყობილ კოლონიებში მოეწყო წაღის და სამკერვალო სახელოსნოები, სადაც ბავშვები შეისწავლიან ხელობას. ზოგიერთ ბავშვების სწავლება უკვე დაწყებულია. დაწყებულია აგრეთვე გოგოების ხელსაქნარის სწავლებმა. ბავშვებისათვის ხშირად იმართება სალამოები და სპექტაკლები.

ავადმყოფობის მსვლელობა. 7—22 აპრილამდი სოხუმში აღნუსხულია პარტახტიანი ტიფის 21 შემთხვევა. მოსარჩენად წევს 42 ტიფიანი ავადმყოფი. ყვავილით ავადმყოფი 4.

აზერბეიჯანი

კალიასთან მებრძოლ ორგანიზაციის მუშაობა.

14 მაისი. ბელიასუვარის რაიონი 10—12 მაისამდი წამლის მოშხაპუნებით დამუშავებულია 3,850 დესიატ. გაყვანილია 32 ვერსტი თხრილები. კალია დაუსრულებელი მოიწევს წინ რამოდენიმე ათეული ვერსის სიღართეზე. დამწვარი კალიით სავსეა თხრილები და ორმოები.

ქრონიკა

◆ **სამარშრუტო მატარებლები მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის.** ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატი აცხადებს, რომ მოსწავლეთათვის და მასწავლებელთათვის აღნიშნულია საზაფხულო არდადეგებზე ბლში გასამგზავრებლად სამარშრუტო მატარებლები: 23 მაისს ათუმის მიმართულებით, ხოლო 24 მაისს თელავისაკენ. გამგზავრება შესაძლებელია იმ საერთო სიების მიხედვით, რომლებსაც გასცემს სასწავლებლის გამგე. ამ სიებში აღნიშნული უნდა იყოს, თუ რომელი მოწაფე სად მიემგზავრება. ასეთი სიების ერი ცალი უნდა ვაგზალზე წარუდგინოს კომისიას. ბათუმისაკენ გასამგზავრებელნი უნდა გამოცხადდნენ სადგურზე 12 საათზე, ხოლო თელავისაკენ დილის 7 საათზე. გარდა აღნიშნული მატარებლებისა უფასო ბილეთები არ გაიცემა.

◆ **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა პროფ. შალვა ნუცუბიძის ახალი გამოკვლევა „ალეთოლოგიის საფუძვლები წიგნი პირველი ჭეშმარიტების პრობლემა“

— **ქართული ლაშქრის მომარაგების ყოფ. სამმართველოს სალიკვიდაციო კომისიისაგან** ქართულ ლაშქრის მომარაგების ყოფილ სამმართველოს სალიკვიდაციო კომისია სთხოვს იმ თანამშრომელთ, რომელთაც ეკუთვნით სალიკვიდაციო და სხვა ფული მიიღონ იგი (სამხედრო საზღვაო შტაბი მომარაგების განყოფილებაში ყოველ დღე 13—15 საათამდე). უკანასკნელი ვადა ფულის გადაცემისა ივნისის 1-ი, ხოლო ამ რიცხვის შემდეგ ნაშთი ჩაბაარდება ხაზინას.

◆ **ცეცხლის ქრობის საქმე.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცეცხლის მქრობელი ქვეგანყოფილებამ შეადგინა ხარჯთ აღრიცხვა რესპუბლიკის ხანძარისაგან დაცვის მოსაწყობათ 3 მილიონი მანეთისა 20000 მან. ოქროთი). ხარჯები გამონაგარიშებულია მანქანების, ინსტრუმენტების და სხვათა შესაძენად, ცეცხლის საქრობ ინვენტარის მოსამარაგებლად ყველა დასახლებული პუნქტების რესპუბლიკისა, რომელთა აღმასკომები ვალდებულნი არიან განსაზღვრულ ვადაში აუნაზღაურონ ხაზინას მათ მიერ მიღებული ინვენტარის ღირებულება.

◆ **ცნობები ბოროტ-მოქმედების შესახებ.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაუგზავნა ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ცირკულიარული წინადადებანი სახალხო კომისარიატში ბოროტმოქმედების მოძრაობაზე სწორი ცნობების მოწოდების შესახებ.

◆ **ქალაქის აღმასკომისაგან.** ამა წლის 25 მაისიდან თბილისის სამოქალაქო სასაკლაოზედ ნავთლუღში დაიწყება დამუშავება და გაცემა ყინულისა. საჭიროა, რომ მსურველთ ყინულის მიღებისა წინდაწინვე მისცენ განცხადება სასაკლაოების დირექტორს ან ქალაქის კომუნალურ წარმოებათა განყოფილებაში (ოთახი № 41).

— საჭიროა, რომ ყინულის მიღების დაწყებისას შემოტანილ იქნას სამი დღის საჭიროების ყინულის ფასი, შემდეგ კი ფასი უნდა იყოს გარდახდილი ყოველ დღე ყინულის წაღებისას. პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნებიან სახელმწიფო დაწესებულებანი.

პირობების გაგება, ყინულის გაცემის შესახებ, შეიძლება მიღებულ იქნას სასაკლაოების კანტორაში ან ქალაქის კომუნალურ განყოფილებაში (ოთახი № 41). აღმასკომი.

— **ჟურნალი „ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრება“.** გამოვიდა ჟურნალი „ფოსტა ტელეგრაფის ცხოვრება“ შემდეგი შინაარსით: წერილები „შესაძლებლობის საზღვარზე“ ომეგასი, „ახალი პროფკავშირები“—ფიცხის, „ფოსტა - ტელეგრაფი“— მუშა ლი. „პირველი მაისი“ (ლექსი) ი. უზნაძის და განდეგილის მინიატიურა „კაცთა სამყარო“.

სახალხო კომისართა საბჭოში.

◆ **სახელმწიფო მამულის იჯარით გაცემა.** სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო მეურნეობის მაღალ კულტურის განვითარების მიზნით მისცეს საექსპლოატაციოთ იჯარით კავკასიაამერიკულ სავაჭრო და სამთომადნო წარმოების კომპანიას ნოქალაქევში მდებარე აბაშიძის ყოფილი მამული—ზომით 40 დესეტინა, რომელიც გამოცხადებულია სახელმწიფო მამულად, ამასთანავე მიწათმოქმედების კომისარიატს ევალება ხელშეკრულების დადების დროს დაიცვას იმ გლეხების ინტერესები, რომელნიც ამ ჟამად სარგებლობენ აღნიშნული მამულით. მათ უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზარალი იჯარით ამღების ხარჯზე და აგრეთვე მიეცეს საკმაო მიწა სხვა რაიონში.

◆ **ფოთის ნავთსადგურის შეკეთება.** მოწონებულ იქნა საზღვაო ტრანსპორტის სახალხო კომისარის მოხსენება—ფოთის ნავთსადგურის შეკეთების შესახებ, რისთვისაც წინადადება მიეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეუთანხმდეს საზოგადოება „ჩემოს“ რათა ამ უკანასკნელმა მისცეს ავანსად საზღვაო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს ნავთსადგურის შეკეთებისათვის საჭირო 35 000 მან. ოქროთი, რომელიც გადახდილ იქნება ნაწილობრივ.

◆ **საწყობების განაწილება.** საზღვაო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა დაუთმოს სასურსათო სახალხო კომისარიატს ბათუმში ერთი დარაბა საწყობისათვის, გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ჩაის საწყობი გადაეცეს ცენტრალურ სანტრანსპორტო განყოფილებას, ამ უკანასკნელის მიერ ბათუმში გახსნილ სანტრანსპორტო საკომისიო კანტორის საჭიროებისათვის,

◆ **საწყობების ჩამორთმევა.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საზოგადოება „მრეწველს“ ჩამოერთვა საწყობი ბათუმში ზომით 155 კვად. საჟ. და გადაეცა „მთლიან მუშათა კოოპერატივს“ და „ცეკავშირს“

◆ **სასურსათო კომისარიატის შესახებ.** გაუქმებულ იქმნა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილება, სახალხო სასურსათო კომისარიატის გაუქმების შესახებ. მიზანშეწონილად იქმნა მიჩნეული აღნიშნული კომისარიატის სამეურნეო წესზე გადასვლა.

◆ **გემი ჭოროხი სიმინდისათვის.** წინადადება მიეცა საზღვაო ტრანსპორტის სახ. კომისარს გამოარკვიოს გემი ჭოროხის ნოვოროსიისკში გაგზავნის შესაძლებლობის საკითხი სამოცი ათასი ფუთი სათესლე სიმინდის მისაღებათ, თანახმად ფედერალურ საბჭოს წინადადებისა.

◆ **სარძეო ფერმა.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დატოვებულ იქნას ციხის ჯვარის სარძეო ფერმა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

თეატრი და ხელოვნება

— **ზაქარია ჭიჭინაძის იუბილე.** 21 მაისს სახელმწიფო ოპერის თეატრში მწერალთა კავშირების თაოსნობით გაიმართა ზაქარია ჭიჭინაძის იუბილე 50 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ. იუბილე გაიხსნა კოტე მაყაშვილის სიტყვით. შემდეგ იუბილიარს მიმართეს სიტყვებით სხვა და სხვა კულტურულ, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებმა: ვასილ ბარნოვმა, შალვა დადიანმა, სახალხო განათლების კომისარიატის სახელით და გადასცა 25 მილიონი, ს. თოდრიამ—სახალხო კომისართა სახელით და იუბილიარს აღუთქვა სრული უზრუნველყოფა, ივანე გომართელმა, ლეო ქიაჩელმა მწერალთა კავშირის სახელით, ვახტანგ კოტეტიშვილმა—ახალ მწერალთა კავშირის და ხელოვანთა კომიტეტის სახელით. სანდრო ეულმა—პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სახელით, ჩახუნაშვილმა—ხელოვნების მუშაკთა კავშირის სახელით და მიართვა ერთი ტომარა თეთრი პურის ფქვილი, ბერბერაშვილმა—ბეჭვდითი საქმის მუშათა სახელით და 10 მილ. იუბილიარს აგრეთვე მიულოცეს ქართველ კათოლიკების, „შინა მრეწველობის კავშირის,“ წ.-კ. საზოგადოების, და სხვა რამდენიმე კულტურულ და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. დაბოლოს იუბილიარმა საზოგადოებას მიმართა სამადლობელი სიტყვით. ამ დღისათვის გამოვიდა საგანგებოთ წიგნი „ზაქარია ჭიჭინაძე“.

— **მსახიობ ქალის ელ. დონაურის სალამო.** სამშაბათს, 23 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ელ. დონაურის სალამო. წარმოდგენილი იქნება კუზანოვსკის 4 მოქმედებიანი პიესა „ღვთისმშობლის აჩრდილი“ („ჰოლა“), ტუგანოვის რეჟისორობით. მონაწილეობენ: ვ. ანჯაფარიძე, ვ. გამყრელიძე, აკაკი ვასაძე, შ. ღამბაშიძე, ალ. იმედაშვილი, პლ. კორიშელი, გულაშვილი, კორძელი და სხ

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში** ასოციაციის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: 1. ახლო მომავალში გაიმართოს ფართო შინაარსით ინტერნაციონალური ლიტერატურული სალამო. 2. გამოიცეს საჩქაროთ ქართ. ჟურნალ „ქურა“-ს მეორე ნომერი და რუსული კრებული „Трудовые зори“. 3. პროლეტარულ შემოქმედების პოპულიარიზაციისთვის მასაში, ივნისის პირველ რიცხვებში მოეწყოს პროვინციებში პროლეტარულ მწერლების მოგზაურობა ლიტერატურული სალამოების მოსაწყობათ. 4. ყოველ პარასკეობით გაიმართოს ასოციაციის ბინაზე ლიტერატურული მეცადინობა. 5. ზემოხსენებულ დადგენილებების განსახორციელებლათ ასოც. ყველა წევრებმა უნდა მიიღონ ენერგიული მონაწილეობა. 6. ის წევრები, რომლებიც მუშაობას გაურბიან პირველ გაფრთხილების შემდეგ გამორიცხულ იქნება ასოციაციიდგან. 7. ეს დადგენილება ვრცელდება სომხურ და რუსულ სექციებზედაც.

— **საბავშო წარმოდგენა.** ხუთშაბათს 25 მაისს დილით 12 საათზე სახელმწიფო დრამის პატარა თეატრში ი. ნაკაშიძის და კ. ფოცხვერაშვილის თაოსნობით და მონაწილეობით გაიმართება დიდი მხიარული სამუსიკო საბავშო დილა. ი. ნაკაშიძე გაართობს ბავშებს ხუმრობა ზღაპრებით და გამართავს დამსწრე ბავშების მონაწილეობით სალამურზე დაკვრით ცეკვა თამაშს. რჩეულ მომღერალ-დამკვრელთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება კომიკურ-იუმორისტული ოპერა „ვანო წამებული“. დასასრულ ქართული გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ხალხურ სიმღერებს. ამ წარმოდგენისთვის აფიშები არ გაიკვრება. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

ზ. ჭიჭინაძის იუბილეს გამო

21 მაისს სახელმწიფო თეატრში გადახდილ იქნა ზ. ჭიჭინაძის ლიტერატურულ ასპარეზზე ორმოცდა ათი წლის მოღვაწეობის იუბილე.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დღესასწაულის გარეგნული მხარე არ იყო მოწყობილი, როგორც შეეფერებოდა ზ. ჭიჭინაძის მდაბიო ხალხში მოღვაწეობას.

საიუბილეო კომისიას, ალბად განზრახ, სურდა ეს იუბილე ჩატარებულიყო ისე, როგორც ჩატარდა, და არა სხვაფერ. მათ მოიწვიეს იუბილეს დღესასწაულზე პირველ ყოვლისა საქართველოს შავი სამღვდელოების წარმომადგენელნი, მოიწვიეს, როგორც ჩეხოვის ცნობილი გენერალი ქორწილში, კათოლიკეთა სარწმუნოების წარმომადგენელი, რომელმაც ვერ გაამართლა იმედები და ვერ შეასრულა მინდობილი როლი; მოიწვიეს თავიანთი მცირე წლოვანი ბავშვები, რომლებიც დარიგებისამებრ, ალბათ, იყო თუ არა საჭირო ტაშს უკრავდენ ყოველთვის საქართველოს და ქრისტე აღდგას ხსენებაზე... მოიწვიეს ორიოდე ცეხის თუ ქარხნის წარმომადგენლები, მაგრამ არ მოუწვევიათ თვით ის ხალხი, მდაბიო, მშრომელი ხალხი, რომლის საკეთილდღეოთ და რომლის გასავითარებლათ მოღვაწეობდა ზ. ჭიჭინაძე ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ისე, როგორც მას ესმოდა ეს.

დღესასწაულს დაესწრნენ მხოლოთ ვერელები. არ იყვნენ ნაძალადევიდან, ჩუღურეთიდან, კუკიიდან, ავლაბრიდან, დიდუბიდან—არ იყვნენ სწორედ ისინი, ვინც უნდა ყოფილიყვნენ,—არა იმიტომ, რომ მათ არ სურდათ ყოფნა, არამედ დღესასწაულის მომწყობ ვიწრო ჯგუფის წყალობით, რომლებმაც არავითარი ზომები არ მიიღეს იმისთვის, რომ ხალხის შვილის, სახალხო მოღვაწის დღესასწაულს დასწრებოდა თვით ხალხი.

მათ, ალბათ შეეშინდათ, რომ ხალხის დღესასწაულზე დასწრება დაჩრდილავდა მათ, რომელთაც სურთ არა ხალხთან ყოფნა, არამედ ხალხს ზემოდ, მაღლობზე, განკერძოებით, როგორც რჩეულთ.

მაგრამ არა უშავს! მშრომელ ხალხს საშუალება მიეცემა თავისებურათ ჩაატაროს ასეთი დღესასწაულები. მას დღეს მრავალი წლების ომისგან და შემდეგ რევოლიუციისაგან აწეწილ-დაწეწილი საქმეები აქვს მოსაწყობი. ამით სარგებლობენ ზოგიერთები. მორჩება თუ არა ამ პირველ ხარისხოვან საქმეს მშრომელი ხალხი, ის აღარ მოუცდის სხვის მიერ მიწვევას და დაანახვებს ქვეყანას, თუ როგორ სცემს პატივს ხალხისთვის, მშრომელი მასისთვის თავდ დებულ მოღვაწეთ.

მანამ კი, დეე, გოჭართლებმა, წმინდა მამებთან ერთად, მართონ ასეთი დღესასწაული თავიანთი მცირე წლოვანი ბავშვების თანადასწრებით და ჩეხოვისებურ გენერლების მოწვევით!

ჩვენ კიდევ მოვესწრებით ჩვენსას, ვინაიდან მომავალი ჩვენია!..

ს. თ—ია.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

ახალქალაქის მაზრაში. ჯეჯილების ანეულები ახალქალაქის მაზრაში არ არის დამაკმაყოფილებელი იმის გამო, რომ შარშან ყანების მკის დროს სათესლე მასალა დაზიანდა სეტყვისაგან. ამ წელში სეტყვა ჯერ არ მოსულა, მაგრამ სეტყვის შესახებ სხვა დასხვა რაიონებიდან მოსულ ცნობების გამო გლეხობა დიდ შიშს განიცდის. საგაზაფხულო ჯეჯილები ბევრად უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებენ, მათი სიმაღლე უკვე 1 მეოთხედ ადლს უდრის. ვაკე ადგილებზე მუშაობა დამთავრებული იქნება 10 დღის განმავლობაში. მთიან და მაღლობ ადგილებზე კი მუშაობა გაგრძელდება მეტ ხანს. მიღებულ ცნობების თანახმად დახნულ და დათესილ მიწების რაოდენობა ამ წელს 7—8-ჯერ მეტია შარშანდელთან შედარებით. ბათუმიდან მიღებულია 2 ვაგონი სათესლე მასალა, ხოლო ნოვოროსიისკიდან 3 ვაგონი საზღვარ გარეთის ხორბალი. მთელი ეს სათესლე მასალა წინასწარ გამომუშავებულ გეგმის თანახმად გაწესრიგებულია 35 სოფელს შორის. სათესლე მასალის უმეტესი ნაწილი გაგზავნილია 3 რაიონის მთიან ადგილებში. 54 000 დესეტინიდან მაზრაში დახნულია ყველა ადგილები, რომელშიც ოდნავად გამოსადეგი იყო ე. ი. 75 პროც., დანარჩენი 25 პროც. დასასვენებლად არის დატოვებული. კართოფილს უკავია 10 ჯერ ნაკლები ადგილი პურთან შედარებით. კართოფილის და სელის თესვა კიდევ გრძელდება.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მმართველობის სავაჭრო განყოფილება.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან დაარსებულია ეკონომიური სამსახური. ხოლო ამ უკანასკნელთან კი სავაჭრო განყოფილება. ამისგამო სამმართველომ უკვე დაიწყო მეზობელ სახელმწიფოების (სპარსეთის და ოსმალეთის) კომერციულ წრეებთან მოლაპარაკება. კასპიის მხარის გზათა სამმართველოსთან, დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით სავაჭრო განყოფილება შეუდგა კერძო მოვაჭრეთა სავაჭრო საქონლის კასპიის ზღვის ყველა ნავთსადგურებში (ასტრახანი, თურქესტანი და სპარსეთი) გადაგზავნას და იქვე ამიერ კავკასიაში გადმოსაგზავნ საქონლის მიღებას. ბაქოში, თბილისში და ბათუმში მოწესრიგებულია ტვირთმზიდავი და ავტომობილის ტრანსპორტი, ტვირთის და ბარგის სადგურიდან კერძო მოვაჭრეთა საწყობებში ან კერძო ბინებზე და აქედან სადგურზე გადასატანათ, ხოლო აღნიშნულ ქალაქების რკინის გზის სადგურებზე გახსნილია მგზავრთათვის სპეციალური ბაგაჟის მიმღები კასა. სავაჭრო განყოფილების მიერ მიღებული მთელი მატარებლის ან ვაგონების ტვირთს რ. ს. ს. ფ. რ. მსხვილ ცენტრების დანიშნულებით, სავ. განყოფილება გადაგზავნის სამარშრუტო მატარებლებით საგანგებო აგენტების თანხლებით. ამ დღეებში მოსკოვში გადაიგზავნა მარშრუტის მატარებელი 35 ვაგონის შემადგენლობით; მათ შორის 30 ვაგონი დატვირთული იყო ღვინით ამისთვის საგანგებოთ მოწყობილ ვაგონებში. სავაჭრო განყოფილების განკარგულებაში იმყოფება 70 ასეთი სპეციალური ვაგონები—მწვანილეულობის, ხილეულობის, თევზეულობის, ხორცის და სხ. გადასაგზავნათ.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მესამე სესია

მოსკოვი. 20 მაისი (რადიო) აღმასკომის 19 მაისის სხდომაზე მოსმენილ იქნა ფინანსთა სახალხო კომისარიატის კანონპროექტები გადასახადთა პოლიტიკისა, საკომლო ფულის ბეგარის შესახებ. მოხსენებას ამ საკითხების შესახებ აკეთებს ალსკი, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ შეუდექით ჩვენი საგადასახადო აპარატის აღდგენას მხოლოდ ამა წლის იანვარსა და თებერვალში. ეს აპარატი სუსტია და მას განმტკიცება სჭირდება. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ პირველ ხანებში უმნიშვნელო ჯამი შემოვიდა გადასახადებისა. ჩვენის გამოანგარიშებით მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში ჩვენ უნდა მივიღოთ პირდაპირი გადასახადები და 39 მილიონი მანეთი ოქროთი, ხოლო არაპირდაპირი გადასახადებიდან 80 მილიონი მანეთი ოქროთი. ამავე დროს კი 5 მაისამდის შემოვიდა პირდაპირი გადასახადებიდან 2 მილიონზე მეტი და არაპირდაპირი გადასახადებიდან კი 5 ნახევარი მილიონი მანეთი ოქროთი. (გამოტოვებულია. დამახინჯებულია) . . . . გადასახადი გადახდება თვითეულ გლეხის კომლს მისი საშუალო შემოსავლის მიხედვით, რომლის დროსაც მხედველობაში იქნება მიღებული თვითეული კომლის ყველა სამეურნეო დარგის შემოსავალი.

მთელი ჩვენი ბიუჯეტი იყოფა ორ ნაწილად: სახელმწიფო და ადგილობრივი. საჭიროა ამ ორ ბიუჯეტს შორის მკაცრი საზღვარი გავავლოთ, ვინაიდან ადგილობრივი ხელის უფლება ხშირათ ხარჯავს საერთო-სახელმწიფოებრივ შემოსავალს ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ანგარიშს არ უწევს ცენტრის განკარგულებას. აუცილებლად საჭიროა მივცეთ ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება გააუქმოს საგუბერნიო აღმასკომის საგადასახადო დადგენილებანი, რომელიც არღვევენ საერთო საგადასახადო კანონებს.

კანონპროექტმა გამოიწვია საინტერესო აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა საკომლო გადასახადის კანონპროექტი მიიღოს საფუძვლად და გადასცეს იგი კომისიას ხოლო კანონ პროექტი საგადასახადო პოლიტიკის შესახებ არ მიიღოს საფუძვლად ხოლო გადასცეს იგი კომისიას როგორც მასალა სახელმძღვანელოდ.

პარტიული ცხოვრება

ამა წლის 17 მაისს, მთავარ სახელოსნოებში შედგა სახელოსნოების და მთავარ საწყობის მუშა-მოსამსახურეების საზოგადო კრება. დაესწრო 1400 მუშა. მომხსენებლად გამოვიდენ ამხ. კალანდაძე და ივანოვ-კავკაზსკი. მოხსენების თემა იყო „გენუის კონფერენცია“. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ მთავარ სახელოსნოების და მთავარ საწყობის მუშებმა მოვისმინეთ რა მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ უძღვნით მხურვალე სალამს გენუის კონფერენციის საბჭოთა დელეგატებს და ვეუბნებით მათ: „იდექით შეურყევლათ თქვენ პოზიციებზე. გამოააშკარავეთ მტრები, დაქსაქსეთ მათი ძალები და კაპიტალიზმის გულში უფრო ღრმად ჩაეცით რევოლიუციონური მახვილი.

იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ თქვენთან არიან მშრომელთა მასის მილიონები, აღზნებული რევოლიუციონური ენერგიით. ჩვენ პროლეტარულ წყევლას უგზავნით მუშათა კლასის ყველა მოღალატეებს, ყვითელ სოციალისტებს— 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალს, მენშევიკებს და ესერების, რომლებსაც შრომის და კაპიტალიზზე წლის გამწვავებული ბრძოლაში ითამაშეს მოღალატეების გამყიდველების და რევოლიუციის წინამძღოლების მკვლელობის როლი.

ჩვენ მოვათხოვთ, რომ პროლეტარულმა სასამართლომ მოღალატეები და ბურჟუაზიის ლაქიები დასაჯოს რევოლიუციონურ კანონების მთელი სისასტიკით.

გაუმარჯოს მუშათა კლასის ძალას და გაერთიანებას.

გაუმარჯოს მე 3 კომინტერნს.

სიკვდილი მუშათა კლასის მოღალატეებს, ესერებს და მენშევიკებს.

შრომის ფრონტზე

შრომის ტვირთ-ზიდვის ბეგარა თბილისის მაზრაში.

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის და ტვირთზიდვის ბეგარის განყოფილების ცნობებით, თბილისის მაზრაში შესრულებულია რიგი მუშაობისა შრომის და ტვირთ-ზიდვის ბეგარის წესით, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ტვირთ-ზიდვის ძალა შემდეგი რაოდენობით:

ყარაიაზის რაიონში: თხრილების შესასწორებლად 3500 მუშა დღე და 99 ტვირთ ზიდვის დღე, თივის გადასატანად 3500 სამუშაო დღე და 756 ტვირთზიდვის დღე, აკრეფილ სასურსათო გადასახადის თბილისში გადასატანად 8 სამუშაო დღე და 96 ტვირთზიდვის დღე.

საგარეჯოს რაიონში: სამხედრო ბარგების და თივის გადასატანად 552 სამუშაო დღე, რკინის გზაზე შპალების გამოსაცვლელად 193 სამუშაო დღე, ნატურ გადასახადის ტვირთის გადასატანად 40 სამუშაო დღე და 140 ტვირთზიდვის დღე და სართიჭალის რაიონში შპალების შესაცვლელად 62 სამუშაო დღე და სამხედრო ტვირთის გადასატანათ 100 სამუშაო დღე და 1256 ტვირთზიდვის დღე. სულ გამოყენებულია 6171 სამუშაო დღე და 3306 ტვირთ ზიდვის დღე.

წარმოებითი პროფკავშირებში

დამზღვევ კასაში

კასის მონაწილეთა სიკვდილიანობა ამა წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

	მამაკაცები	დედაკაც.	სულ
იანვარი	29	7	36
თებერვალი	30	8	38
მარტი	27	8	35
აპრილი	29	5	34
სულ	115	28	143

კავშირების მიხედვით, ეს რიცხვი ნაწილდება შემდეგ ნაირად: საბჭოთა მუშაკთა და კომუნალურ მეურნეობის კავშირი—23 შემთხვევა, სექიმო სანიტარო შრომის კავშირი—17 შემთხ., მელითონეთა—11 შემთხ., ფეიქართა—10 შემთხ., ხელოვნების და განათლების კავშირი—12 შემთხ., მიწად-მოქმედების და სატყეო მუშ. კავშირი—8 შემთხ., სამკერვალო მრეწველობის—6 შემთხვევა, სახალხო კავშირი—5 შემთხვევა, ამშენებლები, მკვაბავნი, მბეჭდავნი და ტრანსპორტის მუშაკნი ოთხ-ოთხი შემთ., მეთამბაქოების და მეტყავეთა კავშირის სამ სამი შემთხ. ქიმიკოსები 2 შემთ. ხის დამმუშავებელთა კავშირს არ უწევს არც ერთი შემთხვევა.

პროვინციაში

თბილისის მაზრის თემების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირი.

5 მაისს ა. წ. თბილისის მაზრის აღმასკომმა მოიწვია თემების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირი.

თათბირს დაესწრნენ თავმჯდომარენი: მარტყოფისა ამხ. სიდამონიძე, ასურეთისა ამხ. ვ. ბერძნიშვილი, ალბულახისა ამხ ოკანესოვი, ქვემო

წალკისა ამხ. სარიევი, ზემო წალკისა ამხ. მაცუკატოვი, მანგლისისა ამხ. უშაკოვი, დილომისა ამხ. მათიაშვილი, ყარაიაზისა ამხ. სადიკოვი, წყნეთისა ამხ. ფარესიშვილი, ხატისოფლეთისა ამხ. შაუთიძე, გომბორისა ამხ. შარმაზანოვი, კოჯორისა ამხ. ჩაჩიძე. თათბირს თავმჯდომარეობდა ამხ ლ. სუხიაშვილი, ქვაკუთხედი საკითხი იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება ცხოვრებაში და შემოსავალი წყაროების გამოძებნა, რომლითაც შესაძლო იქნება მთელი მაზრის ყოველ გვარი ხარჯების დაფარვა. ამ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. მესხი. მას შემდეგ, რაც შეიცვალა სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკა, ამბობს ამხ. მესხი, ჩვენ მოვალენი ვართ, ჩვენის შემოსავლით დავფაროთ ჩვენი ხარჯები. ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი წყარო ჩვენის არსებობისა, ამ მოსაზრებით და ამ მიზნის განსახორციელებლად აღმასრულებელ კომიტეტთან შესდგა საფინანსო კომისია, რომელსაც დაევალა, აღნიშნული შემოსავალი წყაროების გამოძებნა და ხარჯთ აღრიცხვის შედგენა. ამ კომისიის აზრით წლის ბოლომდი მთელ მაზრის აპარატების შესანახად საჭიროა შვიდ მილიარდ ნახევარი მანეთი. აი ეს თანხა უნდა გამოვნახოთ საიდანაც უნდა იყოს. კომისიამ ბევრი თათბირის შემდეგ დაადგინა და აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი მოსაზრებანი: 4.030.000 მანეთი გააწეროს საშუალო და დიდი ქონების მქონე მცხოვრებლებზე, როგორც გადასახადი მიწის მფლობელობის უფლებაზედ. ეს გადასახადი კომისიის აზრით, უნდა განაწილდეს თემებზე შემდეგ ნაირად:

1. ავჭალის თემი.		47,5000,000	მ.
2, ნორიოს	„	207,000,000	„
3. მარტყოფ.	„	240,000, 00	„
4. გომბორის	„	61,000,000	„
5. საგარეჯ.	„	541,5000,000	„
6. ყარაიაზის	„	200,000,000	„
7. სართიჭ.	„	432,500,000	„
8. დილომის	„	203.000,000	„
9. წყნეთის	„	71,500,000,	„
10. კოჯორის	„	64,000,000	„
11. თელეთის	„	165,000,000	„
12. ასურეთის	„	316,000,000	„
13. პრიუტის	„	59,000,000	„
14. აღბულახ.	„	221,000,000	„
15. მანგლის.	„	200,000,000	„
16. წალკის	„	800,000,000	„

პირველ მაისიდან ჩვენ ხაზინა აღარაფერს მოგვცემს, ამიტომ უნდა ვეცადოთ ზემო აღნიშნული ფული რაც შეიძლება მალე ავკრიფოთ. მაგრამ რადგან ჩვენ ეს მთელი თანხა სულ ერთბაშად ახლავე არ გვჭირდება, ამიტომ მის შეკრეფა კომისიამ ოთხ ნაწილად გაჰყო; პირველი მეოთხედი უსათუოთ უნდა აიკრიფოს და შემოტანილ იქმნეს ჩვენ სალაროში მაისის ბოლოში და არა უგვიანეს ივნისის ნახევრისა, დანარჩენი სამი ნაწილი შეიკრიბება ყოველ ორი თვის შემდეგ წლის ბოლომდი.

რაც შეეხება დანარჩენ ფულს, ამ შვიდნახევარი მილიარდიდან, ამის შეძენის შესახებ ჩვენ ჩვენს ძალას, უნარს და ცოდნას უნდა დაუმორჩილოთ. ჩვენ უნდა შევქმნათ მაზრაში ჩვენი მეურნეობა. მოუაროთ სახელმწიფო ვენახებს, ბაღებს, სათიბებს და ტყეებს და იმედი მაქვს—მათი ექსპლოატაცია საკმაო შემოსავალს მოგვცემს. ამ შემოსავალს რომ მიუმატოთ კომისიისაგან გადაწყვეტილის ფუთობრივი გადასახადი თივაზე და სხვა ამგვარ საგანზედ—ჩვენ მივიღებთ საჭირო თანხას.

ამხ. მესხის მოხსენება და წინადადება ერთხმად იყო მიღებული. ლაპარაკი გამოიწვია მხოლოდ მიწის გადასახადის აკრეფის ვადამ. ამხ. ჯანელიძე და ამხ. ბერძენიშვილი ამტკიცებდენ, რომ რადგან გლეხკაცობამ ამ ბოლო დროს ბევრი გადასახადები გადიხადა და მაზრაში ნაწილობრივად სიმშილიც არის, ამიტომ მაისის ბოლოში გადასახადის აკრეფა ძლიერ ძნელი იქნება და მოითხოვდენ ვადის გადადებას მოსავლამდის.

ბოლოს ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: თათბირი იწონებს ნაბიჯს აღმასრულებელ კომიტეტისას ახალი ეკონომიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების შესახებ, მხოლოდ მიწის მფლობელობის უფლებაზე გადასახადის განაწილება იქნას გადათვალიერებული რომლის დროსაც კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს, როგორც თემის მიწის რაოდენობით, აგრეთვე მის თვისებით, მაგრამ რადგან ამ ჟამად მაზრისათვის აუცილებელი საჭიროა შემოსავალი, ამიტომ სულ ახლო მომავალში იქნეს აკრეფილი ერთი მეოთხედი გადასახადში აღნიშნული თანხისა.

სტეფანე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 20.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი—

კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 158 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 158 №-ის დადგენილების 1-ლი მუხლი შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„შრომის პირობები საკოოპერაციო საკონცესიო საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებაში, წარმოებასა და მეურნეობაში, აგრეთვე სამეურნეო საფუძველზე მოწყობილ და იჯარით გაცემულ სახელმწიფო წარმოებასა და მეურნეობაში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღემატება 5 კაცს, —იმ შემთხვევაში, როცა მექანიკური მამოძრავებელი მოქმედებს, 10 კაცს, —როცა ასეთი მამოძრავებელი არ მოქმედებს, განისაზღვრება მხარეთა შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებით.

შენიშვნა: მეპატრონე (მოიჯარადრე), მუშები და ყველა პირი, ვინც ამ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო წარმოებისა და მეურნეობის სათავეში სდგას, ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში ამ დადგენილების დღიდან მიიღოს ზომები კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად, ქვემოდ ნაჩვენები წესით.—

2. მე-14-ტე მუხლი აღნიშნულ დადგენილებისა შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„მეპატრონე (მოიჯარადრე) და სამეურნეო საფუძველზე მოწყობილ სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა სათავეში მდგომი პირი, რომელიც ამა დადგენილების 1 ლ მუხლს არ შეასრულებენ, ექვემდებარებიან: პირველი მეპატრონე (მოიჯარადრე), —სახალხო სასამართლოს განაჩენით, ჯარიმის გადახდას 300 ოქროს მანეთამდე (ქართული ბონების ანგარიშით), ან იძულებითი მუშაობას დაუპატიმრებლად ექვს თვემდე, ხოლო მეორე—(სახელმწიფო საწარმოო დაწესებულების სათავეში მდგომი პირი) —სათანადო სასჯელს ადმინისტრაციული წესით.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.—

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **ა. მიქაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ა. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 20.

ტფილისი—სასახლე.

დებულება ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივი კომიტეტების შესახებ.

საერთო დებულება.

1. ყველა, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კერძო წარმოებაში, სადაც მუშების და მოსამსახურეთა რიცხვი 15 ზე არა ნაკლებია, ეწყობა ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი ან ადგილობრივი კომიტეტი.

შენიშვნა: წარმოებაში, სადაც მუშათა და მოსამსახურეების რიცხვი 15 ზე ნაკლებია, ირჩევენ დელეგატს, რომელიც ასრულებს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ფუნქციებს.

2. წარმოებებში ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი წარმოადგენს კავშირის ძირითად, პირვანდელ ორგანოს ადგილობრივად.

3. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ წარმოების ყველა მუშა მოსამსახურეთ, ფაბრიკა ქარხნის წევრებად კი შეიძლება იყვნენ არჩეულნი მხოლოდ კავშირის წევრები.

შენიშვნა 1: კავშირის წევრები, რომელთაც არ შესრულებიათ 16 წლოვანი, სარგებლობენ მხოლოდ სხვების არჩევის უფლებით, მაგრამ არ შეიძლება თვითონ იქნენ არჩეულნი.

შენიშვნა 2: წარმოებათა ადმინისტრაციულ-ტეხნიკურ პირებს, რომელთაც უფლება აქვთ მუშების დაქირავების და დათხოვნისა და რომელნიც იმყოფებიან კავშირის წევრებად, სარგებლობენ მხოლოდ სხვისი არჩევის უფლებით, მაგრამ თვითონ არ შეიძლება არჩეულ იქნენ ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტში.

4. ერთ წარმოებაში შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ ერთი ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი.

5. არის რა გამტარებელი უმაღლეს საკავშირო ორგანოების ყველა დადგენილებების და დირექტივებისა, ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი პასუხისმგებელია კავშირის და საზოგადო კრების წინაშე.

შენიშვნა: საერთო კრების დადგენილებანი სავალდებულოა ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტისთვის, თუ ასეთები არ ეწინააღმდეგებიან საკავშირო ორგანოების დადგენილებებს.

6 კავშირის გამგეობის დასტურით, რამდენიმე წვრილი ერთნაირი, ახლო მდებარე წარმოებები შეიძლება გაერთიანდნენ და პირდაპირი პროპორციის საფუძველზე შექმნან ერთი ყველასათვის საერთო ფაბრიკა ქარხნის კომიტეტი (ადგილობრივი კომიტეტი).

ფაბრიკა ქარხნის კომიტეტის (ადგილობრივი კომიტეტის) ამოცანები.

7. ფაბრიკა ქარხნის კომიტეტის ძირითად უშუალო ამოცანას შეადგენს მუშა-მოსამსახურეების ინტერესების დაცვა, ზრუნვა მათი ნივთიერ მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე, შრომის დაცვა, კულტურული დონის და პროფტეხნიკური განათლების ამაღლება. ამ მიზნით ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი:

ა) თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციის მიერ ყველა ნორმებისასრულებას შრომის დაცვის და სოციალურ დაზღვევის სფეროში, სამუშაო ხელფასის დროით მიცემას და დამზღვევ ფულის შეტანას, აწყობს მუშებიდან წარმომადგენლობას საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში.

და ხელმძღვანელობს მის მუშაობას, ზრუნავს შრომის პირობების, საბინაო პირობების და სხ. გაუმჯობესებაზე.

ბ) აწყობს კლუბებს, ლექციებს, წარმოდგენებს, ავრცელებს შესაფერ ლიტერატურას, ხელს უწყობს უცოდინარობის ლიკვიდაციას, აწყობს სკოლებს და პროფტეხნიკურ განათლების კურსებს.

8. წარმოების ორგანიზაციის დარგში ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი, არ ერევა რა ადმინისტრაციის განკარგულებებსა და მოქმედებებში, რომლებისათვის ის თვითონაა სრული პასუხისმგებელი, და არავითარ შემთხვევაში არ აუქმებს და არ არღვევს რა მათ,—თავის ამოცანად ისახავს:

სახელმწიფო წარმოებებში: ა) ხელს უწყობს წარმოების მუშაობას, თვალყურს ადევნებს წარმოებითი გეგმის შესრულებას, მასალების და მოწყობილობის საზრიან გამოყენებას. ბ) მონაწილეობს საწარმოო დაწესებულების წარმოებითი ცხოვრების ყველა უმთავრეს საკითხების განხილვაში ქარხნის მმართველობის მიერ. გ) მართავს ქარხნის მმართველობის მოხსენებებს საზოგადო, სადელეგატო და საამქრო კრებებზე, აცნობს რა მათ წარმოების საქმეთა მიმდინარეობას და მდგომარეობას. დ) მონაწილეობას იღებს მუშების და მოსამსახურეების დაქირავება დათხოვნაში დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულობის, ან სატარიფო ხელშეკრულობის საფუძველზე.

9. ორგანიზაციულ სფეროში, ფაბრიკა-ქარხნის ამოცანას შეადგენს:

ა) წარმოების მუშების და მოსამსახურეების ჩაბმა პროფკავშირებში.

ბ) მუშების და მოსამსახურეთა რევოლიუციონურ-კლასობრივ შემეცნების განვითარება.

გ) პროფესიონალურ-პროლეტარულ დისციპლინის გატარება მუშებსა და მოსამსახურეებში.

დ) თვალყურის დევნება საწევრო გადასახადის წესიერ შეგროვებასა და მის წარდგენაზე კავშირში, კავშირის მიერ მიღებულ წესის თანახმად.

ე) წარმომადგენლობა მუშების და მოსამსახურეთა სახელით ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების მოწყობა მუშებიდან სხ. და სხ. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

10. შემჩნეულ არასწორ მოქმედებებსა და შეცდომა-დაუდევრობაზე, აგრეთვე აღმოცენებულ გაუგებრობებზე, ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი დაუყონებლივ აცნობებს კავშირის გამგეობას.

ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის კონსტრუქცია.

11. ფაბრიკა ქარხნის კომიტეტი ირჩევა წარმოების მუშების და მოსამსახურეების საერთო კრებაზე, 6 თვის ვადით, რიცხვით თანახმად შემდეგი სანიმუშო ნორმისა:

წარმოებაში მუშების რაოდენობით:
15-დან 300 დე ფ. ქ. კაცი 3 კაცი.
300 ზე ზევით „ 5 „

შენიშვნა: 1. განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევებში, სადაც ტეხნიკური პირობებით შეუძლებელია საზოგადო კრებების მოწყობა, ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტია, კავშირის გამგეობის დადგენილებით ყოველ ცალკე შემთხვევაში, ირჩევა აღებულ წარმოების დელეგატთა კრებაზე.

შენიშვნა: 2. ფაბრიკა ქარხნის კომიტეტის მთლიანად ან მისი ცალკე წევრების ხელახალი არჩევნის საკითხი ვადამდე, შეიძლება დაისვას საზოგადო კრებაზე წარმოების მუშების არა ნაკლებ ერთი მესამედი მოთხოვნით ან კავშირის გამგეობის დადგენილებით.

12. საარჩევნო კრება ითვლება სრულუფლებიანად, თუ მას დაესწრება აღებულ წარმოების ყველა მუშების და მოსამსახურეთა არა ნაკლებ ნახევარისა და თუ კრებამდე სამი დღით ადრე ეცნობა კავშირის გამგეობას მუშა-მოსამსახურეთ კრების დანიშვნა, მისი მიზნები, დღე და ადგილი.

შენიშვნა: ქვორუმის დაუსწრებლობის შემთხვევაში, კრება ინიშნება მეორედ და ითვლება ნამდვილად დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

13. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს კავშირის გამგეობა.

შენიშვნა: საზოგადო კრების ოქმში უნდა იყოს აღნიშნული კრებაზე დამსწრეთა რიცხვი, წარმოების მუშების და მოსამსახურეების საერთო რიცხვი, პროფკავშირის წევრთა რაოდენობა, თავმჯდომარის და მდივნის გვარები, წამოყენებულ კანდიდატების გვარები და თითოეულის მიერ მიღებული ხმის რიცხვი.

14. ფაბრიკა ქარხნის წევრთა რაოდენობა, რომელიც თავისუფლდება მუშაობიდან თავის სპეციალობით (პროფესიით) მუშაობის საწარმოებლად ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტში, წესდება შემდეგი ნორმის მიხედვით:

15-დან 100-მდე თავისუფლდება 1 კაცი 1 დღით კვირაში.
100 დან 300-მდე „ 1 2 „
300 ზე ზევით „ 1 სავსებით.

შენიშვნა: საკონფლიქტო შემფასებელ კომისიაში სამუშაოდ მუშების წარმომადგენლების განთავისუფლება ხდება კოლეგიურ ხელშეკრულებაში გათვალწინებულ ნორმის გარეშე.

15. მუშაობიდან განთავისუფლებული წევრნი ღებულობენ გასამრჯელოს წარმოებისაგან თავის კვალიფიკაციის საშუალო ხელფასის რაოდენობით, მაგრამ არა ნაკლებს თავის სატარიფო განაკვეთზე.

ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის მუშაობა.

16. მის წინაშე მდგარ ამოცანების ასასრულებლად ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტს მსხვილ წარმოებებში შეუძლია მოაწყოს შრომის დაცვის და კულტურულ-განმანათლებელი კომისიები, რომელთა მუშაობას ის ხელმძღვანელობს და რომელთა მუშაობისათვის პასუხისმგებელია კავშირის და საერთო კრების წინაშე.

შენიშვნა: კომისიებს აწყობს ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი ისეთი ანგარიშით, რომ სათავეში იდგეს ფ.-ქ. კომიტეტის წევრი. კომისიის მუშაობა სწარმოებს სასამუშაო დროს.

17. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტს და კომისიებს შეუძლიათ მოიწვიონ თავის სხდომებზე მცოდნე პირნი სათათბირო ხმის უფლებით.

18. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი საკავშირო ორგანოების მოთხოვნით აგზავნის წარმომადგენლებს ყველა საკავშირო, სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში კავშირის წევრებიდან, რომელნიც მუშაობენ აღებულ წარმოებაზე.

19. თვეში ერთხელ მაინც მუშაობიდან, თავისუფალ დროს, ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი იწვევს აღებულ წარმოების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებას. დელეგატების კრებები იწვევა ორ-კვირეში ერთხელ მაინც.

შენიშვნა: მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნებისათვის კრება შეიძლება დაინიშნოს მუშაობის დროსაც.

20. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის სხდომები ხდება კვირაში ერთხელ მაინც მუშაობიდან თავისუფალ დროს.

21. ფაბრიკა-ქარხნის დადგენილებები შეიძლება გაუქმებულ იქმნას კავშირის გამგეობის და საზოგადო კრების მიერ.

22. წარმოების საზოგადო კრება ხდება კავშირის ცნობით.

23. ანგარიშები ფაბრიკა-ქარხნის მოღვაწეობის შესახებ წარედგინება კავშირის გამგეობას თვეში ერთხელ, ხოლო ფაბრიკა-ქ. კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის და საზოგადო კრებების ოქმების ასლი იგზავნება კავშირში მეორე დღეს სხდომის შემდეგ.

შენიშვნა: 1. თავის მუშაობის ნუსხას ფაბრიკა ქარხნის კომიტეტი ადგენს თავის კავშირში, ყოველკვირეულად კავშირის მიერ ნაჩვენებ ვადებში.

შენიშვნა: 2. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის და საზოგადო კრებების ოქმების ასლს ფაბრიკა ქარხ. კომიტეტი ჰკიდებს წარმოებაში თვალსაჩინო ალაგას.

ფაბრიკა ქარხნის კომიტეტის საშუალებანი.

24 ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტები ხარჯავენ აუცილებელ ფულს სათანადო საკავშირო ორგანიზაციების მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვის რაოდენობით, რომელიც არ აღემატება 2 პროც. გადარიცხვას სამუშაო ხელფასზე, რომელსაც იხდის წარმოება მასში მომუშაკეებზე. ფაბრიკა-ქარხნის განთავისუფლებულ წევრების შენახვა ხარჯთ აღრიცხვაში არ შედის; ასეთს იხთის წარმოება საერთო უწყებით. 25. წარმოების (დაწესებულებების) მმართველობა აძლევს ფ.-ქ. კომიტეტს (ადგილკომს) საჭირო მოწყობილ ბინას გათბობა-განათებით.

ფაბრიკა ქარხნის კომიტეტის საქმეთა რევიზია.

26. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის მოქმედების სარევიზიოდ საზოგადო კრებაზე ირჩევენ სარევიზიო კომისიას წევრის შემადგენლობით, 6 თვის ვადით. სარევიზიო კომისია ორ თვეში ერთხელ მაინც ამოწმებს ფაბრიკა ქარხნის კომიტეტის მოქმედებას და თავის მოხსენებას ადგენს საზოგადო კრებებზე კავშირის გამგეობაში.

შენიშვნა. სარევიზიო კომისიის წევრებს არ შეიძლება იყვნენ ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის წევრებად და ან ეჭიროთ მასში სხვა თანამდებობანი.

27. ყველა დღევანდლამდე არსებული დებულებები ფაბრიკა ხარხნის კომიტეტის (ადგილკომების) შესახებ უქმდება ამ დებულების გამოქვეყნებისთანავე.

ს. ს. ს. რ. შრომის კომისარის მოადგილე **მიქაძე.**

ს. პ. კ, ს. ორგანყოფილების გამგე **ოდილავაძე.**

ბრძანება

საქართველოს ს. ს. ს. რ. სახალხო სამხედრო საზღვაო კომისარიატისადმი და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისადმი.

№ 193

20 მაისი, 1922 წ. ქ. თფილისი.

§-1.

ვბრძანებ აღრიცხულ იქნას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მე 5 კურსის ყველა სტუდენტები ქალი და ვაჟი.

§ 2.

აღრიცხვა მოხდეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სასანიტარო განყოფილების საშუალებით. აღრიცხვის საერთო ხელმძღვანელობა დაევალოს საგანგებო კომისიას შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე--სახ. სასანიტარო განყოფილების უფროსი, წევრები: ცალკე კავკასიის ლაშქრის სანიტარულ ნაწილიდან და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატიდან თითო წარმომადგენელი.

§-3.

აღრიცხვა დაწყებულ იქმნას არა უგვიანეს ა. წ. 23 მაისისა და დამთავრდეს არა უგვიანეს 25 მაისისა.

§-4.

თფილისის მაზრის სამხედრო კომისარმა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამხედრო სასანიტარო განყოფილების უფროსთან ერთად თავის დროზე გამოაქვეყნოს კომისარიატისადმი ბრძანებაში სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მე 5 კურსის ყველა სტუდენტების ქალისა და ვაჟის სამხედრო სასანიტარო განყოფილებაში აღრიცხვაზე გამოცხადების წესი.

§-5.

აღრიცხვაზე გამოცხადებასთან ერთად, მოხდეს მათი შემოწმება სამხედრო სასანიტარო სამსახურისათვის ვარგისობის ხარისხის გამოსარკვევად, სამხედრო საზღვაო კომისარიატისადმი ბრძანებაში №-97 15 მარტიდან გამოცხადებულ ავადმყოფთა ცხრილის მიხედვით, რისთვისაც სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის სამხედრო სასანიტარო განყოფილებასთან დაარსებულ იქმნას საექიმო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ექიმი, ორი წევრი ექიმები სამხედრო სასანიტარო განყოფილების უფროსის განწესებით და ორი წარმომადგენელი ერთი სამხედრო ს. ს. ს. რ. კომისარიატიდან და მეორეც ცალკე კავკასიის ლაშქრის სასანიტარო ნაწილის უფროსის დანიშვნით.

§ 6.

ყველა აღრიცხვაზე გამოცხადებულებს და შემოწმებულთ მიეცეს სააღრიცხო სარეგისტრაციო ბარათები ამასთან დართულ ფორმის თანახმად სათანადო ხელმოწერით და სამხ. სასანიტარო განყოფილების ბეჭდის დასმით.

§-7.

მაზრის სამხედრო კომისარიატმა თავის ბრძანებაში ქალი და ვაჟი სტუდენტების აღრიცხვის წესის შესახებ, აღნიშნონ რომ პირი, რომელსაც არ აღმოაჩნდება ამ კომისიიდან მიცემული სააღრიცხო სარეგისტრაციო ბარათი, მიცემულნი იქნებიან პასუხის გებაში, როგორც დეზერტირები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სადაც იქმნება გამოაშკარავებული პირი სააღრიცხო სარეგისტრაციო ბარათის არა მქონე, აგრეთვე სახლის პატრონები ვის ბინაზედაც იცხოვრებენ ამ გვარი პირნი, იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში დეზერტირების დაფარვისათვის.

სახ. სამხ. საზღვაო კომისარი **ჟიქია.**

ჯანმრთელობის კომისარი **კუჟაიძე.**

შტაბის უფროსი, გენ შტაბისა **გედევანიშვილი.**

(საქ. ჯანმ. სახ. კომის. სასანიტარო განყოფილების მიმართ).

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი წინა დადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ სტუდენტ-კომუნისტებს ორის დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში ანკეტების შესავსებათ მათი ჯარში გაყვანისაგან დროებითი განთავისუფლებისათვის: 1) ვასილი ვასილის ძე ცინცაძე, 2) ნიკოლოზ აპოლონის ძე ვლასენკო, 3) ივანე იოსების ძე ტერ კარაპეტოვი, 4) აარონ ზონოვის ძე რახმანი, 5) სტეფანე ერვანდის ძე მიქაელიანი, 6) ტაჯატ არსენის ძე ტუტუჯიანი, 7) ბაგრატ ზანთარია, 8) შალვა ოდილავაძე, 9) ბორის სამსონის ძე ბოსორია, 10) ალექსანდრე გიორგის ძე პაჩევი, 11) სერგი ბახტაძე, 12 გრიგორ მიხაილის ძე ნუცუბიძე, 13) არჩილ შენგელია, 14) დიმიტრი კლდიაშვილი, 15) გიორგი პერიხანიანი, 16) გიორგი ბეღელაძე, 17) გრიგოლ ივანეს ძე შელია, 18) სტეფანე მიხეილის ძე სტეფანოვი, 19) სიმონ მიხეილის ძე დარახველიძე.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი**

საორგანიზ განყოფილების გამგე **რუბენი.**

სარედაქციო კოლეგია.

კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობისათვის

ს. ა. კ. კ. ყველა ორგანიზაციებს და წევრებს

ს. ა. ქ. კ. ცეკას გადაწყვეტილების თანახმად მე-2 ყრილობა გაიხსნება 5 ივნისს 1922 წ.

დღის წესრიგი:

1) საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა საბჭოთა ფედერაციის.
2) ს. ა. კ. კ. ცეკას ანგარიში.
3) ს. ა. კ კ. ცენტრალურ გამწმენდ კომისიის მოხსენება.
4) კავშირის აღმშენებლობა ახალ პირობებში.
5) მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობა და მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.
6) სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება.
7) ცეკას არჩევნები.
8) სარევიზიო კომისიის არჩევნები.
9) დელეგატების არჩევა რ. ა. კ. პ. კავკასიის ყრილობისათვის.

შენიშვნა: ყრილობაზე იქნება არჩეული სექციები: 1) საორგანიზაციო, 2) სააგიტაციო საპროპაგანდო და 3) ეკონომიურ-უფლებრივი.

დელეგატები აირჩევიან რაიონულ კონფერენციებზე. წარმომადგენლობითი ნორმა: 100 ნამდვილი წევრი ა. კ. კ. აგზავნის ერთს (1) დელეგატს.

შენიშვნა: 1 თუ რაიონში ითვლება ასი წევრზე ნაკლები—75-დე მას აქვს უფლება გამოგზავნოს ერთი (1) დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2. თუ რაიონში ითვლება—75 წე წევრზე ნაკლები – მაშინ ერთდებიან რამდენიმე რაიონები და ერთად აგზავნიან დელეგატებს.

დელეგატები სათათბირო ხმით კონფერენციაში არ იქნებიან დაშვებულნი. იმ მაზრებში, სადაც უკვე იყო სამაზრო კონფერენცია და არჩეულია დელეგატები არ ჩაითვლება სწორად. ეს წესი მათზედაც ვრცელდება. გამონაკლისს შეადგენს გორის მაზრა, სადაც კონფერენცია მოწვეულია 10 მაისს, და აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, რომელსაც წინადადება ეძლევა აირჩიოს დელეგატები ნორმის მიხედვით.

სამაზრო კომიტეტებს წინადადება ეძლევათ, არ გამოგზავნონ დელეგატები სათათბირო ხმით, წინაამდეგ შემთხვევაში ცეკა არ მიიღებს ასეთებს მხედველობაში, და იქნებიან უკანვე გაგზავნილნი ცეკას დაუხმარებლად.

კომუნისტური სალამით.

ა. კ. კ. ცეკას მდივანი: **დევდარიანი.**

ც. კ. საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყ. გამგე **ოკუჯავა.**

გაზეთის ტრესტის მთავარ

კანტორისაგან

1 მაისიდან გაზეთის ტრესტის მიერ გახსნილია კიოსკი ტფილისის სადგურზე

შეუდგნენ კიოსკების მოწყობას ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთელ ლიანდაგზე.

კიოსკებში გაიყიდება გაზეთები ამიერ-კავკასიის და რუსეთის საბ. ფ. ს. რესპუბლიკისა და აგრეთვე ყველა დარგის წიგნები. საწერი და საფოსტო მასალები.

კონსორციუმი

შვეიცარიის ტრიკოს საქსოვ და მანუფაქტურის ფაბრიკების ფირმა

„Michel Metschik“-ისა

აცხადებს, რომ იმ მიზნით, რათა მყიდველებისათვის უფრო მოსახერხებელი იქნეს საქონლის შეძენა, ფაბრიკატების ნაჰრობით გაყიდვა გადატანილია

საზ. მეურნ. უმაღ. საბჭოს მომარაგების უნივერსალურ მაღაზიაში

(სასახლის ქუჩა № 6)

ამასთან კონსორციუმის საწყობში იწარმოებს მხოლოდ ბითუმად ვაჭრობა.

(1—1)

მთავარი საერთაშორისო მეტრიულ სისტემის ზომის კომიტეტი

საქართველოში (ვლაკომეტრი) სთხოვს, სახელმწიფო, საზოგადო დაწესებულებას და აგრეთვე კერძო პირთ, რომლებსაც სურთ აიღონ თავის თავზე საზომ საწყობების დამზადების და გადაკეთების სამუშაო, მიმართონ განმარტების მისაღებათ „გლაკომეტრის“ პრეზიდიუმის წევრს ა. ა. რეზვიაკომს, ყოველ დღე 12 დან 3 საათამდე ს. ს. ს. რ. საზომ და საწონ პალატის შენობაში (პლეხანოვის ქუჩა № 117).

მდივანი (ხელმოწერილია).

(3—2)

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში ხარლამპი გიორგის ძეს კუნდუროვს პასუხის მისაცემად განცხადების დაბეჭდის დღიდან ორი თვის განმავლობაში საჩივარზე მაკს კარლოვის ძე ფრანკის ორმოც და ათი მილიონის (50.000.000) მან. გადახდის შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის არ გამოცხადდა აღნიშნულ დროზე საქმე გაირჩევა და გამოტანილი იქნება დაუსწრებელი დადგენილება.

სახალხო მოსამართლე **მარ. ჩხეიძე.**

(1—1)

დაიკარგა

დავით კობახიძის სახელზე კომპარტიის ბილეთი № 240599, მოწმობა რაბისისა და პირადობისა, მოცემული სამხედრო პოლიტგანყოფილებიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)